პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

№ 50 (5151) | ხუთშაბათი, 3 მარტი 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

გუშინ, 2 მარტს სოციალიზმის ქვეყნის დედაქალაქში დაიწყო მკვლელთა, ჯაშუშთა, გამცემელთა, ანტისაბჭოთა „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის" პროცესი.

მთელი საბჭოთა ხალხი უდიდესი აღშფოთებითა და ზიზღით იხსენიებს ფაშიზმის პირსისხლიანი აგენტების, ხალხის უბოროტესი მტრების, სამშობლოს გამყიდველთა გულშემზარავ დანაშაულობას.

კიდევ უფრო მჭიდროდ დავირაზმოთ ლენინ-სტალინის დიადი პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ირგვლივ ხალხის მტრების შესამუსრავად!

არაადამიანი ბანდიტები ამხილეთ და მიწასთან გაასწორეთ

არავითარი დანდობა ტროცკისტ-ბუხარინელ ბანდიტებს!

დღეს სსრ კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის წინაშე წარსდგება შეთქმულთა ჯგუფი „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის" სახელწოდებით. საბრალდებო სკამს დაიკავებს ტროცკისტ - ბუხარინელი ჯაშუშების, მკვლელების, მავნებლებისა და დივერსანტების ბანდა, რომელსაც დანაშაულზე წაასწრეს.

ამ გარეწრებს, რომლებმაც ადამიანის სახის ყოველგვარი მსგავსება დაჰკარგეს, ბრალი მიუძღვით უმძიმეს დანაშაულობებში, რომელთა მარტო ჩამოთვლა აძრწუნებს გულს და ძარღვებში სისხლს ჰყინავს. ბინძურმა ბანდიტებმა — ბუხარინმა, რიკოვმა, იაგოდამ და მათმა დამქაშებმა — პასუხი უნდა აგონ თავიანთ საშინელ ბოროტებათათვის, რომლებიც ჩრდილავენ ადამიანის ულრმესი დაცემის დღემდე ცნობილ ყველა ნიმუშს.

აშმორებულ ანტისაბჭოთა იატაკქვეშეთში ერთ მყრალ გორგლად გადაეხლართნენ ერთმანეთს ტროცკისტები და ბუხარინელები, ესერები და მენშევიკები, ბურჟუაზიული ნაციონალისტები და ყოველივე დანარჩენი სიბილწე. ეს სიბინძურე სოციალიზმის წინააღმდეგ გააერთიანა ველურმა, არაადამიანურმა გაბოროტებამ. მათ აცოფებდა მშრომელთა სიხარულით აღსავსე და ბედნიერი ცხოვრება, ჩვენი სოციალისტური გამარჯვებების სურათი. ლენინ-სტალინის პარტიის, მუშათა კლასის, საბჭოთა ხალხის მიერ აშკარა ბრძოლებში განადგურებული საზიზღარი გამცემლები და მოღალატეები მყრალ ტროცკისტულ იატაკქვეშეთში ამზადებდნენ თავიანთ მოშხამულ იარაღს. თვალთმაქცურად ინიღბებოდნენ და ჰფარავდნენ რა თავიანთ მხეცურ სახეს, ისინი ცდილობდნენ მიეღწიათ თავისი საზიზღარი მიზნისათვის — კაპიტალიზმის რესტავრაციისათვის — შპიონაჟის, მავნებლობის, დივერსიების გზით, მხეცურ მკვლელობათა გზით.

ჩვენს ქვეყანაში კაპიტალისტური კატორღის აღდგენა, მუშებისა და გლეხებისათვის მემამულეებისა და კაპიტალისტების უღლის კვლავ დადგმა, ჩვენი სამშობლოს დანაწილება და მისი გადაცემა ფაშისტ ყაჩაღთა ხელში, მშრომელი მასების განწირვა ფაშისტური ტერორის საშინელებათათვის — ასეთი იყო ტროცკისტ-ბუხარინელ ქვეწარმავალთა საზიზღარი მიზანი. ერთ მუჭა უბადრუკ, ლაჩარ არამზადებს არ შეეძლოთ არ დაენახათ თავისი სრული არარაობა. გამოძიებამ დაადასტურა, რომ თავის იმედებს ისინი „ამყარებდნენ მხოლოდ და მხოლოდ შეიარაღებულ დახმარებაზე უცხოელი აგრესორების მხრივ, რომლებიც შეთქმულებს შეჰპირდნენ ამ დახმარების გაწევას იმ პირობით, რომ სსრ კავშირი დანაწილებული იქნებოდა და სსრ კავშირისაგან ჩამოშორებული იქნებოდნენ უკრაინა, ბელორუსია, შუააზიის რესპუბლიკები, საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი და პრიმორიე".

საზიზღარი არამზადები ბითუმად და ცალობით ვაჭრობდნენ ჩვენი დედა-სამშობლოთი, ჩვენი წმინდათა-წმინდა მიწა-წყლით, რომლის თავისუფლებისათვისაც დაღვარეს თავისი სისხლი ხალხის საუკეთესო შვილებმა. ტროცკისტ-ბუხარინელ ბანდიტებს უნდოდათ დაებრუნებინათ კაპიტალისტები და მემამულეები, მათ უნდოდათ გაეხადნათ ჩვენი ქვეყანა იმპერიალისტთა კოლონიად, ხოლო ჩვენი ხალხი — კაპიტალის მონებად. საზიზღარი მოღალატეები, ისინი უცხოეთის დაზვერვებს მიჰყიდდნენ ხოლმე საბჭოთა სახელმწიფო საიდუმლოებებს, ვაჭრობდნენ სსრ კავშირის ხალხთა თავისუფლებით, მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფოს დამოუკიდებლობითა და ხელშეუხებლობით.

გამოძიებამ უცილობლად დაადასტურა, რომ ჯაშუშები და დივერსანტები, ტერორისტები და მავნებლები „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკიდან" მოქმედებდნენ ტროცკის, ბუხარინის, რიკოვის დავალებებით და „უცხოეთის ზოგიერთი სახელმწიფოს გენერალურ შტაბებში ფართოდ მოფიქრებული და დამუშავებული გეგმების მიხედვით".

იქითკენ, ომის ფაშისტ გამჩაღებელთა გენერალური შტაბებისა და პოლიციური ოხრანკებისაკენ, საიდაც დღისით და ღამით გაფაციცებით ემზადებიან იმისათვის, რომ მთელი მსოფლიო სისხლში ჩაახრჩონ, მიდის საშინელი ტროცკისტულ-ბუხარინული შეთქმულების ძაფები. ტროცკის, ბუხარინის, რიკოვისა და დანარჩენი არამზადებისათვის გზა ბურჟუაზიული ოხრანკებისაკენ ახალი არ არის: მათ იგი დიდიხანია იცოდნენ. ახლა სავსებით დადასტურებულია, რომ ტროცკი არის ჯაშუში უცხოეთის ერთ-ერთი დაზვერვისა 1921 წლიდან და მეორისა — 1926 წლიდან. ბრალდებულთაგან ზოგიერთი იყო მეფის ოხრანკის აგენტი და პროვოკატორი.

აზეფების ამ უძველესმა თანამებრძოლებმა დიდიხანია შორს მოიტოვეს შავი ღალატის რეკორდები, რომლებიც ისტორიამ იცის. მოქმედებდნენ რა ფაშისტური ოხრანკების დავალებებით, მათ ცოტა ზიანი როდი მიაყენეს ჩვენს სამშობლოს. მათი გამომჟღავნება უდიდესი გამარჯვებაა საერთაშორისო ფაშიზმის ძალებზე. სახელოვანმა საბჭოთა დაზვერვამ, რომელმაც გახსნა გაუგონარ მოღალატეობათა კვანძი, დაუფასებელი სამსახური გაუწია მთელ მოწინავე კაცობრიობას. ყველა, ვისთვისაც ძვირფასია კულტურის ინტერესები, ყველა, ვისაც სძულს ფაშისტური ჩაგვრა, ყველა, ვისაც ახსოვს გერნიკისა და ალმერიის უმწეო მსხვერპლთა სისხლი, ყველა, ვისი სიმპატიებიც ესპანეთისა და ჩინეთის გმირი ხალხების მხარეზეა, რომლებიც იცავენ თავიანთ სიცოცხლეს ფაშისტ ბანდიტებისაგან, — მიესალმება ფაშიზმის მოსყიდულ ლანდსკნეხტთა ამ გველის ბუდის გამომჟღავნებას.

შეთქმულების სულისჩამდგმელებმა და ხელმძღვანელებმა ტროცკიმ, ბუხარინმა, რიკოვმა — გაიარეს ფიცისგატეხის, მოღალატეობისა და გამცემლობის გრძელი გზა. ტროცკიზმი თავისი გამოჩენიდანვე იყო ბურჟუაზიული აგენტურის უსაზიზღრესი ნაირსახეობა, რომელიც ცდილობდა მოეწამლა მუშათა მოძრაობა სოციალიზმისადმი რწმენის უქონლობის შხამით. ბუხარინი და რიკოვი, პოლიტიკურ ასპარეზზე მათი გამოსვლის დღიდანვე, იყვნენ ბურჟუაზიის მზვერავები მუშათა კლასში, კულაკური ინტერესებისათვის მზრუნველნი. ჯერ კიდევ 20 წლის წინათ, როდესაც საბჭოების ახალგაზრდა რესპუბლიკა სასიკვდილო საფრთხეში იყო, ამ მოღალატეებმა მოაწყეს შეთქმულება, რომლის მიზანი იყო საბჭოთა ხელისუფლების დამხობა, ლენინის, სტალინის, სვერდლოვის დაპატიმრება და მოკვლა. ტროცკისტებისა და ბუხარინელების მთელი შემდგომი საქმიანობა წარმოადგენს საბჭოთა ხალხის წინააღმდეგ უსაზიზღრეს დანაშაულობათა ერთიან ჯაჭვს.

საბჭოთა ხალხი საუკუნოდ დასწყევლის ამ გარეწრებს, საუკუნოდ შეაჩვენებს მათს საზიზღარ საქმიანობას. მათ დაღვარეს სისხლი კრისტალურად წმინდა მებრძოლისა კომუნიზმისათვის, მგზნებარე სახალხო ტრიბუნის ს. მ. კიროვისა. მათ ვერაგულად შესწყვიტეს სიცოცხლე ჩვენი ხალხის გენიის ა. მ. გორკისა, რომლის სიკვდილიც საბჭოთა ქვეყნისათვის ყველაზე მძიმე დანაკლისი იყო ვ. ი. ლენინის სიკვდილის შემდეგ. მათ მოაწყეს მტკიცე ბოლშევიკების, მშრომელთა საქმისათვის თავდადებული მებრძოლების ვ. ვ. კუიბიშევისა და ვ. რ. მენჟინსკის საზიზღარი მკვლელობა. ტროცკისტ-ბუხარინელ შეთქმულთა მავნებლურმა და დივერსიულმა აქტებმა მრავალი და მრავალი სიცოცხლე შეიწირეს.

ყოველივე ამისათვის ავაზაკებმა პასუხი უნდა აგონ. თუ მტერი არ ნებდება, მას სპობენ! ასე სთქვა ჩვენი ეპოქის უდიდესმა ჰუმანისტმა ა. მ. გორკიმ, რომელიც საზიზღარ შეთქმულთა მსხვერპლი გახდა. მისი სიტყვები გამოხატავენ ღრმა ხალხურ სიბრძნეს, ყველა პატიოსანი ადამიანის გრძნობებსა და აზრებს. საზიზღარი მახინჯებისადმი წმინდათა-წმინდა სიძულვილი აღელვებს მილიონობით ადამიანთა გულებს. ტროცკისტ-ბუხარინელი მახინჯები ხომ ღალატობდნენ და ჰყიდდნენ ყველაფერს, რაც კი მშრომელებმა უდიდესი მსხვერპლითა და ძალღონის დაჭიმვით მოიპოვეს. ეს მახინჯები ვაჭრობდნენ არა მარტო ჩვენი სიცოცხლით, არამედ მომავალი თაობების ბედიღბლითაც.

საზიზღართაგან უსაზიზღრესი იუდა ტროცკი—ფაშიზმის ეს ქოფაკი, დიდიხნის ჯაშუში და პროვოკატორი, რომლის ხელებიც იდაყვებამდე ამოსვრილია საუკეთესო და უკეთილშობილესი ადამიანების სისხლში, ჰესისა და ფრანკოს ეს ღირსეული მოკავშირე ემალება ხალხის მართლმსაჯულებას ბურჟუაზიული წყობილების კალთის ქვეშ, თავის ფაშისტ მეპატრონეთა ფრთის ქვეშ. მაგრამ ისტორიამ უკვე დიდიხანია გამოუტანა მას განაჩენი. უკუნითი უკუნისამდე დაწყევლილია მისი სახელი, რომელიც უმაგალითო საზიზღრობისა და სიმდაბლის აღსანიშნავ ზოგად სახელად იქცა.

„მემარჯვენე - ტროცკისტული ბლოკის" მონაწილე ავაზაკთა გასამართლება მთელი საბჭოთა ხალხის მიერ გასამართლება იქნება. ანხორციელებს რა ხალხის ნებასურვილს, საბჭოთა მართლმსაჯულება ბოლომდე გახსნის სისხლიან დანაშაულთა კვანძს და საზიზღარ მოღალატეებს მიუზღავს იმას, რაც მათ დაიმსახურეს. ჩვენს საუცხოო მიწა-წყალზე ამ გარეწრებისათვის ადგილი არ არის!

„პრავდის" მოწინავე 2/III

ქრონიკა

სსრ კავშირისა და ესტონეთის მთავრობებს შორის წარმოებული მოლაპარაკების შედეგად მიღწეულია შეთანხმება ესტონეთის საკონსულოს დახურვის შესახებ ლენინგრადში ს.-წ. 10 მარტიდან.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოში

გაზგენერატორული ავტომობილების, ტრაქტორებისა და სატრანსპორტო მანქანების სხვა სახეების წარმოების შესახებ

მიუხედავად მთავრობის მთელი რიგი გადაწყვეტილებებისა გაზგენერატორული ავტომობილებისა და ტრაქტორების წარმოების ყოველგვარად განვითარების შესახებ, რომელთაც დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვთ, — გაზგენერატორული მანქანების წარმოება და დანერგვა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში მიმდინარეობს სრულიად არადამაკმაყოფილებლად.

ზოგიერთმა სამეურნეო მუშაკებმა და ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა გამოიჩინეს ამ საქმეში დაუშვებელი ტექნიკური კონსერვატიზმი, ხოლო მავნებლებმა სატრაქტორო - საავტომობილო მრეწველობის სახელმწიფო სამმართველოდან შეაფერხეს გაზგენერატორული მანქანების წარმოების კონსტრუირება და განვითარება.

გაზგენერატორულ მანქანებზე საკონსტრუირებო მუშაობა მოწყვეტილია ქარხნებისაგან, რომლებიც უშვებენ გაზგენერატორულ მანქანებს, რის გამო არ არსებობს ჯეროვანი პასუხისმგებლობა მანქანების ხარისხისათვის.

არაა დადგენილი მტკიცე საწარმოო ბაზა გაზგენერატორების დასამზადებლად და თვითონ მათი დამზადება მოწყვეტილია იმ ქარხნებისაგან, რომლებიც უშვებენ ავტომობილებსა და ტრაქტორებს.

გაზგენერატორული მანქანებისა და გენერატორულ დადგმულობათა გამოშვებული ნიმუშები დაუშვებელი დიდხნობით იმყოფებიან გამოცდაში. უპასუხისმგებლოდ შეაქვთ ურიცხვი შესწორებანი მანქანების კონსტრუქციაში, აჭიანურებენ მათ სერიული წარმოების ორგანიზაციას.

გაზგენერატორული მანქანების წარმოების ათვისება ქარხნებში არაფრით არ არის სტიმულირებული.

გაზგენერატორული მანქანების ექსპლოატაცია მოწყობილია არადამაკმაყოფილებლად.

იმ გაზგენერატორული მანქანების წარმოების განვითარების ფორსირების მიზნით, რომლებიც მაგარი საწვავის სხვადასხვა სახეებით მუშაობენ, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა:

1. მოეწყოს მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარიატის სისტემაში გაზგენერატორული დანადგარების წარმოება:

ა) ჩელიაბინსკის სატრაქტორო ქარხნის ტრაქტორებისათვის — ჩელიაბინსკის სატრაქტორო ქარხანაში.

ბ) ხარკოვის სატრაქტორო ქარხნის, ხტზ ტრაქტორებისათვის—ხარკოვის სატრაქტორო ქარხანაში.

გ) სტალინის სახელობის ქარხნის ავტომობილებისათვის — ენერგომრეწველობის მთავარსამმართველოს ქარხანაში „კომეგაზე" მოსკოვში.

დ) გორკის საავტომობილო ქარხნის აა ავტომობილებისათვის ქალ. გორკიში ადგილობრივ მრეწველობის ერთ-ერთ საწარმოზე.

2. დაევალოს მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარიატს 1938 წლის 10 მარტისათვის დასამტკიცებლად წარადგინოს სსრკ სახკომსაბჭოსთან არსებულ ეკონომიურ საბჭოში მონაცემები იმ გაზგენერატორულ ტრაქტორების ტექნიკურ და ეკონომიურ მაჩვენებლების შესახებ, რომელნიც ინერგება სერიულ წარმოებაში.

3. დაევალოს მძიმე მრეწველობის სახ. კომისარიატს ქარხანა „სვეტ შახტიორაზე" 1938 წლის 1 მაისისათვის სათადარიგო ნაწილების დამზადება სატყეო მრეწველობის მანქანების გაზგენერატორული არსებული პარკისათვის შემდეგი რაოდენობით:

ა. სტალინის სახელობის ქარხნის ავტომანქანების 5 გაზგენერატორული დანადგარებით „ზის" — 13;

ა) საცეცხლისები (მთლიანად ჩამოსხმული) შეკრებილი ბუნკერებიანად—500 ცალი;

ბ) საჰაერო ამოგების სპილენძ-ასბესტური შუასაგები—500 ცალი;

გ) ბუნკერების თავსახური—250 ცალი;

ბ. ტრაქტორებისათვის C—60 გაზგენერატორული დანადგარით ღ—9;

ა) კერის ლამბაქი (სიცხის გამძლე თუჯი) ქანჩებით — 150 ცალი;

ბ) კერის საყელური — 50 ცალი;

გ) ძაბრის რკალი — 100 ცალი;

დ) ძაბრის რგოლები — 50 ცალი

სულ 385 ათასი მანეთის ღირებულებისა.

მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის ტორეცკის ქარხანას, გარდა აღნიშნულ სათადარიგო ნაწილებისა, წინადადება მიეცა 1938 წელს დაამზადოს (დაუმუშავებლად) მთლიანად ჩამოსხმული ფოლადის საცეცხლისები და ჩამოსხმული ნაკეთობანი 1.500 კომპლექტის რაოდენობით „კომეგას" ქარხნისათვის.

მთელი დანარჩენი მოთხოვნილება საცეცხლისებსა და ჩამოსხმულ ნაკეთობებზე 1938 წელს გაზგენერატორების გამოშვებისათვის და სათადარიგო ნაწილებისათვის უზრუნველჰყოს მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარიატმა თავის ქარხნებში.

დაევალოს მანქანათმშენებლობის სახ. კომისარიატს სატყეო სახალხო კომისარიატთან ერთად ერთი დეკადის ვადაში დაამუშაოს ნომენკლატურა სათადარიგო ნაწილებისა გაზგენერატორულ მანქანებისათვის, რომლებიც დამზადდება კომპლექტებად გაზგენერატორებთან ერთად და დაამუშაოს სისტემა სათადარიგო ნაწილებით მეურნეობათა მომარაგებისა, სადაც ეს მანქანებია კონცენტრირებული.

4. დაევალოს მანქანათმშენებლობის სახ. კომისარიატს:

ა) მოამზადოს 1938 წლის განმავლობაში:

ჩელიაბინსკის სატრაქტორო ქარხანაში გაზგენერატორული ტრაქტორი — 1.200 ცალი.

ხარკოვის სატრაქტორო ქარხანაში გაზგენერატორული ტრაქტორი 300 ცალი.

მოსკოვის სტალინის სახელობის ავტოქარხანაში გაზგენერატორული ავტომანქანა — 1.500 ცალი.

მოლოტოვის სახელობის ქ. გორკის ავტოქარხანაში გაზგენერატორული ავტომანქანა 1.500 ცალი.

ბ) უზრუნველყოფილ იქნეს გაზგენერატორული მანქანების წარმოების განვითარება შემდეგი რაოდენობის გამოშვებით:

	1939 წ.	1940 წ.
ა) საბარგო ავტომობილი „ზის"	8.000 ც.	20.000
ბ) საბარგო ავტომობილი „გაზ"აა	8.000 ც.	20.000
გ) ტრაქტორი „ჩტზ"	4.000 ც.	5.000
დ) ტრაქტორები „ხტზ"	5.000 ც.	10.000.

მოეწყოს საჭირო მასშტაბით სათადარიგო ნაწილთა წარმოება საგაზგენერატორო დანადგართათვის მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარიატის ქარხნებში, რომლებიც გაზგენერატორებს ამზადებენ.

5. გაზგენერატორებით ავტომობილების შეუფერხებლად უზრუნველყოფის მიზნით, მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარიატს წინადადება მიეცა დაუყოვნებლივ შეუდგეს ქარხანა „კომეგაში" საავტომობილო გაზგენერატორთა წარმოების ორგანიზაციას, ამასთან დააწესოს მათი სერიული გამოშვება ა. წ. მაისიდან.

ჩაატაროს ქარხანა „კომეგაში" ამ ვადისთვის საჭირო სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოები, ამასთან გამოჰყოს ქარხნისათვის საჭირო მოწყობილობა.

6. გამოშვებულ იქნას 1938 წელს მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარიატის ქარხანა „კომეგაში" 2.430 გაზგენერატორი და ქარხანა „სვეტ შახტიორაში" — 570 გაზგენერატორი ავტომობილებისათვის, მათგან 1.500 „ზის"-ისთვის და 1.500 „გაზ"-ისთვის.

გათვალისწინებულ იქნას გაზგენერატორების გამოშვება ქარხანა „კომეგაში" 1939 წელს 10 ათასი საგაზგენერატორო დანადგარების რაოდენობით.

ნება დაერთოს ქარხანა „კომეგას" ააგოს ხის ექვსი სტანდარტული სახლი ოკრუჟნი რკინიგზის რაიონში.

7. ნება დაერთოს მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარიატს გამოჰყოს 1938 წელს „გლავენერგოპრომისათვის" ფართო მოხმარების საქონლის ფონდის ხარჯზე, კაპიტალურ სამუშაოთა გეგმის ხაზით დაწესებულ ასიგნობათა გარდა, გაზგენერატორთა წარმოების ორგანიზაციისათვის 3 მილიონი მანეთი საბინაო მშენებლობასთან ერთად და 400 ათასი მანეთი წარმოების ათვისებისათვის; „გლავტრაქტოროპრომისთვის" — 3 მილიონი მანეთი (1,5 მილიონი ჩელიაბინსკის სატრაქტორო ქარხნისათვის და 1,5 მილიონი მანეთი ხარკოვის სატრაქტორო ქარხნისთვის) გაზგენერატორთა წარმოების ორგანიზაციისათვის 1938 წელს.

8. დაევალოს სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს გადაიყვანოს 1938 წელს ლიგროინით მომუშავე 200 ცალი ტრაქტორი გაზით მუშაობაზე, სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის გაზგენერატორების დადგმით, რისთვისაც მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარიატმა სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს არა უგვიანეს ა. წ. 1 სექტემბრისა მიაწოდოს საჭირო სათადარიგო ნაწილები ლიგროინის მოტორების C—60-ის საგაზო მოტორებზე გადასაყვანად.

9. დაევალოს სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს დააყენოს სამეცნიერო-საგამოკვლევო ინსტიტუტთა მუშაობა გაზგენერატორებისათვის სათბობთა ტიპების დამუშავების დარგში (ხის პატარა მორები, ხის ნახშირი, ბრიკეტები ხის ნარჩენებისაგან).

ამასთან ერთად შეიმუშაოს რაციონალური ხერხები და მექანიზმები სათბობის დასამზადებლად, როგორც, მაგალითად: პატარა მორების დასახერხად, დასაპობად, ნახშირის დასაწვავად და ბრიკეტების დასამზადებლად.

შეიმუშაოს ხის სათბობის უფრო მომჭირნეობითი ტიპის სახმობები ისეთი ნაყოფიერებით, რომ თვითეული მათგანი მომსახურებას უწევდეს 10—15 საგაზგენერატორო მანქანისაგან შემდგარ პარკს.

მუშაობის შედეგების შესახებ მოახსენოს ეკონომიურ საბჭოს 1938 წლის 1 ივლისისათვის.

10. მოწონებულ იქნას წყლის ტრანსპორტის სახალხო კომისარიატის წინადადება გადიდებული სიმძლავრის გაზმავალთა მშენებლობის შესახებ ბუქსირებისა და ტივწამყვანთათვის ჩრდილოეთის მდინარეებში სამოლო დაცურების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით.

დაევალოს მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარიატს დამზადოს და ჩააბაროს წყლის ტრანსპორტის სახალხო კომისარიატს არა უგვიანეს 1938 წლის 15 სექტემბრისა ექვს ცილინდრიანი 120 ცხენძალის საგაზო ძრავები და შეიმუშაოს 8-ცილინდრიანი საგაზო ძრავების პროექტი 160 ცხენძალის ორმოტორიან გაზმავლებზე დასადგმელად.

11. დაწესდეს 1938 წლისათვის ჩელიაბინსკის სატრაქტორო ქარხნის საგაზო ძრავების გამოშვება წყლის ტრანსპორტის სახალხო კომისარიატისათვის — 200 ცალისა და სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატისათვის — 50 ცალისა, რომელთაგან 20 ცალი დამზადდეს ა. წ. მეორე კვარტალში.

მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარიატმა ა. წ. 15 მაისისათვის გამოუშვას ამ ძრავების ნიმუშები საჭირო გადაკეთებით საცირკულაციო ტუმბოების, სატრიუმო სადგუშე ტუმბოების და საზეთო ტუმბოების უშუალო მოძრაობაში მოსაყვანად, აგრეთვე მოაგვაროს მოტორების გაზით ამუშავება.

12. დამტკიცდეს წყლის ტრანსპორტის სახალხო კომისარიატის მიერ წარმოდგენილი პროგრამა გაზმავალთა მშენებლობისა 1938 წლისათვის 200 ცალის რაოდენობით, აქედან საბუქსირე 80 ცალი და სამგზავრო 120 ცალი.

13. დაევალოს მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარიატს გადასცეს წყლის ტრანსპორტის სახალხო კომისარიატს ძრავები გაზმავალ კატარღებისათვის შემდეგ ვადებში:

ა) „სტზ"-„ნატი"-ს საგაზო ძრავები 26 ერთეულის რაოდენობით 1938 წლის მე-3 კვარტალში.

ბ) მ—1 ტიპის საგაზო ძრავები 17 ერთეულის რაოდენობით: 3 ერთეული — 1938 წლის 1 აგვისტოსათვის და 14 ერთეული — მე-4 კვარტალში.

14. სსრ კავშირის სახკომსაბჭომ წინადადება მისცა მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარიატსა და წყლის ტრანსპორტის სახალხო კომისარიატს ერთი თვის ვადაში წარუდგინონ ეკონომიურ საბჭოს წინადადებანი გემთა 2 ათასი საგაზო ძრავის წარმოების ორგანიზაციის შესახებ ყოველწლიურად, წყლის ტრანსპორტის სახალხო კომისარიატის ტექნიკურ დავალებათა შესაბამისად, ძრავის „მგ—17"-ის სიმძლავრის გადიდების შესაძლებლობის გათვალისწინებით.

15. დაევალოს მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარიატს (სამეცნიერო-საკვლევო ავტო-სატრაქტორო ინსტიტუტს), საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატს და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს სამი თვის განმავლობაში შოახდინონ საგაზგენერატორო ტრაქტორებისა და ავტომობილების გამოცდა დაბრიკეტებული ჩალით მუშაობაში.

1938 წლის 1 ოქტომბრისათვის „ნატიმ" შეიმუშაოს დანადგარი, რომელიც იმუშავებს ანტრაციტზე და ტორფოვანი კოქსით.

16. დაევალოს გზათა სახალხო კომისარიატის ტორფის ინსტიტუტს „ნატის" მონაწილეობით შეიმუშაოს საგაზგენერატორო დანადგარი, რომელიც იმუშავებს ტორფით.

17. უშუალოდ მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარიატის ქარხნებში საგაზგენერატორო ავტომობილებისა და ტრაქტორების ხაზით კონსტრუქტორულ სამუშაოთა განვითარებასთან ერთად, სსრ კავშირის სახკომსაბჭომ დაავალა „ნატის" გააჩაღოს შემდგომი კონსტრუქტორული და ექსპერიმენტული სამუშაოები ამ დარგში.

18. დაევალოს მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარიატს გადასცეს სსრ კავშირის მიწსახკომს შოფერებისა და ტრაქტორისტების მოსამზადებელ სკოლებისათვის, დაწყებული ა. წ. სექტემბრიდან — 100 ტრაქტორი და 50 ავტომანქანა საგაზგენერატორო დანადგარებით.

19. საგაზგენერატორო ავტომობილებისა და ტრაქტორების გამოშვების სტიმულირებისათვის დაწესდეს საგაზგენერატორო ავტომობილებისა და ტრაქტორების, აგრეთვე მათი გაზგენერატორებისა და მოტორების წარმოებაში მომუშავე ინჟინერ-ტექნიკოსთა პერსონალისა და მუშების დაჯილდოება 400 მანეთის რაოდენობით თვითეული გაზსაგენერატორო მანქანისათვის.

დაევალოს მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარს ამხ. ბრუსკინს შეიმუშაოს და დაამტკიცოს დაჯილდოების დეტალური სისტემა.

ფინსახკომმა გაითვალისწინოს მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარიატის ფინგეგმაში ზემოდაღნიშნული დაჯილდოებისათვის სახსრები 1 მილიონი 720 ათასი მანეთის რაოდენობით.

20. ნება დაერთოს სამეურნეო ორგანიზაციებს, რომელნიც ეწევიან საგაზგენერატორო ავტომანქანების, ტრაქტორებისა და გაზმავალთა ექსპლოატაციას, დააწესონ შოფერებისა, ტრაქტორისტებისა და მოტორისტებისათვის 15 პროცენტით გადიდებული განაკვეთები იმასთან შედარებით, რაც დაწესებულია ამავე კატეგორიებისათვის, რომელნიც ბენზინისა და ლიგროინის ძრავებზე მუშაობენ.

21. დაევალოს მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარიატს, სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატსა და წყლის ტრანსპორტის სახალხო კომისარიატს ყოველთვიურად აცნობონ ეკონომიურ საბჭოს ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ. (საკდესი).

დამტკიცებულია სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1938 წლის 28 თებერვალს.

სსრკ სახკომსაბჭოსთან არსებულ საბჭოთა კონტროლის კომისიის მუშაობის გაუმჯობესების შესახებ

სსრკ სახკომსაბჭოსთან არსებულ საბჭოთა კონტროლის კომისიის ბიუროს გადაწყვეტილება.

სსრკ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ საბჭოთა კონტროლის კომისიის მუშაობის გაუმჯობესების მიზნით საბჭოთა კონტროლის კომისიის ბიურო საჭიროდ სთვლის:

1. საბჭოთა კონტროლის კომისიის მუშაობა თავმოყრილი იქნეს სსრკ სახკომსაბჭოს და ეკონომიურ საბჭოს დადგენილებათა შესრულების შემოწმებაზე ამავე დროს უფრო აქტუალურ დადგენილებათა გამოყოფით.

სსრკ სახალხო კომისართა საბჭოსაგან განსხვავებული მუშაობის გეგმა საბჭოთა კონტროლის კომისიას არა აქვს.

2. სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს სხდომებზე მოხსენებულ იქნეს საბჭოთა კონტროლის კომისიის მუშაობის შედეგები სახკომსაბჭოს დადგენილებათა შესრულების შემოწმების დარგში.

ეკონომიურ საბჭოს თვითეულ სხდომაზე მოხსენებულ იქნეს ეკონომიურ საბჭოს მიერ წინადმიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმების შედეგების შესახებ.

3. საბჭოთა კონტროლის კომისიის ერთერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად ჩაითვალოს როგორც ცენტრალურ-საკავშირო, ისე რესპუბლიკურ და ადგილობრივ საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ორგანიზაციული წყობის შესწავლა.

ამ მიზნით საბჭოთა კონტროლის კომისია სისტემატურად სწავლობს პრაქტიკაში გამოყენების დროს სახალხო კომისარიატების, მათი მთავარი სამმართველოების და სხვა საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების დებულებებს, სწავლობს ამ ორგანოების სტრუქტურას და შტატებს. საბჭოთა კონტროლის კომისიას ამასთან მხედველობაში უნდა ჰქონდეს საკავშირო და რესპუბლიკურ ორგანოების და მათზე დაქვემდებარებულ ორგანიზაციების ხელმძღვანელობის საქმის გაუმჯობესებისათვის ხელის შეწყობა, სახელმწიფო აპარატის მიერ მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესება, მის მუშაობაში ბიუროკრატული ელემენტების აღმოფხვრა და მთავრობის კანონების და დადგენილებების თავის დროზე და სწორი შესრულების უზრუნველყოფა.

სახელმწიფო აპარატის ორგანიზაციული წყობის გაუმჯობესების დარგში მუშაობის ხელმძღვანელობა და საბჭოთა კონტროლის კომისიის ორგანიზაციული ჯგუფის ხელმძღვანელობა დაეკისროს უშუალოდ საბჭოთა კონტროლის კომისიის თავმჯდომარეს.

4. იმის გამო, რომ აღმშენებლობას ეწევიან ყველა სახალხო კომისარიატები და დაწესებულებები, რაც მოითხოვს საბჭოთა კონტროლის კომისიის გაძლიერებულ მუშაობას, ყველა სახალხო კომისარიატებში ამ საქმეზე კონტროლისათვის, შეიქმნას საბჭოთა კონტროლის კომისიაში მშენებლობისა და საამშენებლო მასალების განსაკუთრებული ჯგუფი.

საბჭოთა კონტროლის კომისიამ ყოველთვიურად უნდა აცნობოს სახკომსაბჭოს მთავრობის დადგენილებათა შესრულების კონტროლის შედეგები მშენებლობის საკითხებზე.

5. სსრკ სახელმწიფო საგეგმო კომისიის ახალ დებულებასთან დაკავშირებით — საბჭოთა კონტროლის კომისია, უნდა ერიდოს რა სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან მუშაობის დუბლირებას, უნდა სარგებლობდეს სახელმწიფო საგეგმო კომისიის შემოწმების მასალებით და, საბჭოთა კონტროლის კომისიაზე დაკისრებულ ფუნქციების შესაბამისად, მიიღოს ზომები მთავრობის დადგენილებათა შესრულების შესახებ.

6. რადგანაც წესიერად ორგანიზებული ჩაბარება-მიღება საქმეებისა ხელმძღვანელობის შეცვლის დროს, ხელს უწყობს აპარატის მუშაობაში არსებულ დეფექტების გამომჟღავნებას, და აგრეთვე მათ აღმოფხვრას, საბჭოთა კონტროლის კომისია სისტემატურად უნდა ამოწმებდეს სსრკ სახკომსაბჭოს დადგენილების შესრულებას უწყებების მხრივ საქმეების ჩაბარება-მიღების დროს და განსაკუთრებულ შემთხვევებში საბჭოთა კონტროლის კომისიის წარმომადგენელი უნდა მონაწილეობდეს საქმეთა მიღება-ჩაბარებაში.

საქმეთა მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე, საბჭოთა კონტროლის კომისია უნდა ამოწმებდეს, თუ რა ზომები აქვთ მიღებული უწყებებს გამომჟღავნებული დეფექტების თავიდან ასაცილებლად.

7. საბჭოთა კონტროლის კომისიის მუშაობის პრაქტიკაში შემოღებულ იქნას სისტემატური გასვლა ადგილებზე საკონტროლო ჯგუფებისა საბჭოთა კონტროლის კომისიის წევრების მეთაურობით მთავრობის დადგენილებათა შესრულების შესამოწმებლად რესპუბლიკაში, მხარეში, ოლქში ან მუშაობის ცალკე დარგებში ადგილზე.

8. საჭიროდ ჩაითვალოს ფართო ჩაბმა მუშაობაში საბჭოთა კონტროლის კომისიის ცალკე საკონტროლო დავალებით იმ მუშაკებისა, რომლებიც უშუალოდ არ მუშაობენ საბჭოთა კონტროლის კომისიის აპარატში.

9. რადგანაც ცოტა არ არის ისეთი ხელმძღვანელი მუშაკები, რომლებიც მიმართავენ საბჭოთა კონტროლის კომისიაში განცხადებებით და საჩივრებით სხვა ორგანოებზე აშკარა თავის დაზღვევის მიზნით იმის მაგიერ, რომ მიიღონ ნამდვილი ზომები თავის დაწესებულებების ხაზით, საჭიროდ ჩაითვალოს ასეთი ხელმძღვანელების პასუხისგებაში მიცემა უმოქმედობისათვის და თავის დაზღვევისათვის.

აჭარის ასს რესპუბლიკის ცაკ-ის მეხუთე სესია

ბათუმი, 28 თებერვალი. 27 თებერვალს საღამოს აჭარის ცაკის შენობაში გაიხსნა აჭარის ასს რესპუბლიკის მეთერთმეტე მოწვევის ცაკის მეხუთე სესია.

სესიის სხდომას ხსნის აჭარის ასს რესპუბლიკის ცაკის მდივნის მოვალეობის ამსრულებელი—სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ამხანაგი რეჯებ ჯინჭარაძე.

დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ სესია დიდი ყურადღებით ისმენს ამხ. რეჯებ ჯინჭარაძის მოხსენებას აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების შესახებ.

მოხსენების შემდეგ კამათში გამოვიდნენ ამხანაგები — შარაშიძე შუქრი (ხულოს რაიაღმასკომის თავმჯდომარე), მოწყობილი სულეიმან (ქობულეთის რაიაღმასკომის თავმჯდომარე), მემედ ფალავა (ბათუმის ნავთსახდელი ქარხნის სტახანოველი, ორდენოსანი), ტიკვინი (მთავარ-ქარხნის ბათუმის ბაზის სტახანოველი), კაკალიძე მევლუდ (ქედადანდაოს სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე), შავერსკი (ორდენოსანი), ნიჟარაძე (განათლების კომისარი), ფეიქრიშვილი იოსებ (სამკერვალო ფაბრიკის სტახანოველი), სამეულიძე მუხამედ (ქობულეთის ბობოყვათის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე), ჩხიკვიშვილი ო. (ქალთა პედტექნიკუმის დირექტორი), ჯაველიძე აქსენტი (ცაკის ინსტრუქტორი) და სხვები.

სესიამ ერთხმად დაამტკიცა აჭარის ასს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულება.

სესიამ მისალმება გაუგზავნა ხალხთა დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს და სტალინის საუკეთესო მოწაფეს ქართველი ხალხის საყვარელ შვილს ამხანაგ ლ. ბერიას.

სესიამ აჭარის ასს რესპუბლიკის ცაკის პრეზიდიუმის შემადგენლობაში შეიყვანა ა. საჯაია, დ. დუმბაძე, ვ. მაქაცარია და გორდეზიანი.

სესიამ ამით დაამთავრა თავისი მუშაობა.

საბრალდებო დასკვნა

ნ. ი. ბუხარინის, ა. ი. რიკოვის, გ. გ. იაგოდას, ნ. ნ. კრესტინსკის, ქ. გ. რაკოვსკის, ა. პ. როზენგოლცის, ვ. ი. ივანოვის, მ. ა. ჩერნოვის, გ. ფ. გრინკოს, ი. ა. ზელენსკის, ს. ა. ბესონოვის, ა. იკრამოვის, ფ. ხოჯაევის, ვ. ფ. შარანგოვიჩის, პ. ტ. ზუბარევის, პ. პ. ბულანოვის, ლ. გ. ლევინის, დ. დ. პლეტნევის, ი. ნ. კაზაკოვის, ვ. ა. მაქსიმოვ-დიკოვსკისა და პ. პ. კრიუჩკოვის

საქმეზე, რომელთაც ბრალი ედებათ მასში, რომ იმათ საბჭოთა კავშირისადმი მტრულად განწყობილი უცხო სახელმწიფოების დაზვერვების დავალებით შეადგინეს შეთქმულთა ჯგუფი სახელწოდებით „მემარჯვენე - ტროცკისტული ბლოკი“, რომელმაც მიზნად დაისახა ჯაშუშობა უცხო სახელმწიფოების სასარგებლოდ, მავნებლობა, დივერსიები, ტერორი, სსრკ სამხედრო ძლიერებისათვის ძირგამოთხრა, ამ სახელმწიფოების სამხედრო თავდასხმის პროვოკაცია სსრ კავშირზე, სსრ კავშირის დანაწილება, მისგან უკრაინის, ბელორუსიის, შუააზიის რესპუბლიკების, საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, შორეულ აღმოსავლეთში პრიმორიის ჩამოცილება ხსენებული უცხო სახელმწიფოების სასარგებლოდ, დასასრულ, სსრ კავშირში არსებული სოციალისტური, საზოგადოებრივი და სახელმწიფო წესწყობილების დამხობა და კაპიტალიზმის აღდგენა, ბურჟუაზიის ხელისუფლების აღდგენა.

შინსახკომის ორგანოების მიერ წარმოებულმა გამოძიებამ დაადასტურა, რომ სსრ კავშირის მიმართ მტრულად განწყობილ უცხო სახელმწიფოების დაზვერვების დავალებით ამ საქმის გამო ბრალდებულებმა მოაწყეს შეთქმულთა ჯგუფი სახელწოდებით—„მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკი“, რომელმაც თავის მიზნად დაისახა სსრ კავშირში არსებულ სოციალისტურ, საზოგადოებრივ და სახელმწიფო წესწყობილების დამხობა, სსრ კავშირში კაპიტალიზმის და ბურჟუაზიის ხელისუფლების აღდგენა, სსრ კავშირის დანაწილება და მისგან ზემოდაღნიშნულ სახელმწიფოების სასარგებლოდ უკრაინის, ბელორუსიის, შუააზიის რესპუბლიკების, საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის და პრიმორიეს ჩამოცილება.

გამოძიებით დადასტურებულია, რომ „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკი“ აერთიანებდა თავის რიგებში ტროცკისტების, მემარჯვენეების, ზინოვიეველების, მენშევიკების, ესერების, ანტისაბჭოთა არალეგალურ ჯგუფებს უკრაინის, ბელორუსიის, საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, შუააზიის რესპუბლიკების ბურჟუაზიულ ნაციონალისტებს, რაც მტკიცდება არა მარტო ამ გამოძიების მასალებით, არამედ სსრ კავშირის სხვადასხვა ადგილებში ჩატარებულ სასამართლო პროცესების მასალებითაც, და, კერძოდ, სასამართლო პროცესების მასალებით **ტუხაჩევსკის** სამხედრო შეთქმულთა ჯგუფისა და სხვათა შესახებ, რომლებიც მსჯავრდებულნი იყვნენ სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს სამხედრო კოლეგიის მიერ 1937 წლის 11 ივნისს და ქართველი ბურჟუაზიული ნაციონალისტების მდივანის, ოკუჯავას და სხვათა ჯგუფების საქმით, რომლებიც მსჯავრდებულნი იყვნენ საქართველოს უმაღლესი სასამართლოს მიერ 1937 წლის 10 ივლისს.

ყოველგვარ დასაყრდენს მოკლებულნი სსრ კავშირის შიგნით, „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“ მონაწილენი მთელ თავის იმედებს სსრ კავშირში არსებული საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი სოციალისტური წყობილების წინააღმდეგ და ხელისუფლების დაპყრობისათვის ბრძოლაში ამყარებდნენ მხოლოდდამხოლოდ უცხოეთის აგრესორების სამხედრო დახმარებაზე, რომლებიც შეჰპირდნენ შეთქმულებს ამ დახმარებას სსრ კავშირის დანაწილების და სსრ კავშირისგან უკრაინის, პრიმორიეს, ბელორუსიის, შუააზიის რესპუბლიკების, საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის ჩამოცილების პირობებით.

ასეთი შეთანხმება „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკისა“ ზემოთაღნიშნულ უცხო სახელმწიფოების წარმომადგენლებთან გაადვილებული იყო იმით, რომ მრავალი ხელმძღვანელი მონაწილე ამ შეთქმულებისა უცხოეთის დაზვერვების დიდიხნის აგენტები იყო, რომლებიც მრავალი წლის განმავლობაში ანხორციელებდნენ ჯაშუშურ საქმიანობას ამ დაზვერვების სასარგებლოდ.

ეს უწინარეს ყოვლისა ეხება შეთქმულების ერთერთ სულისჩამდგმელს—ხალხის მტერს **ტროცკის**. მისი კავშირი გესტაპოსთან ამომწურავად იყო დამტკიცებული ტროცკისტ - ზინოვიეველების ტერორისტული ცენტრის პროცესზე 1936 წლის აგვისტოში და ანტისაბჭოთა ტროცკისტულ ცენტრის პროცესზე 1937 წლის იანვარში.

მაგრამ გამოძიების განკარგულებაში არსებული მასალა ამ საქმეზე ადასტურებს, რომ ხალხის მტრის—**ტროცკის** კავშირი გერმანიის პოლიტიკურ პოლიციასთან და სხვა ქვეყნების დაზვერვებთან მიეკუთვნება გაცილებით უფრო ადრინდელ პერიოდს. გამოძიებამ ზუსტად გამოარკვია, რომ **ტროცკი** უკვე 1921 წლიდან იყო დაკავშირებული გერმანიის დაზვერვასთან და 1926 წლიდან ინგლისის „ინტელიჯენს-სერვისთან“.

რაც შეეხება ამ საქმის გამო პასუხისგებაში მიცემულთ, მნიშვნელოვანი ნაწილი ამ ბრალდებულთა მათი საკუთარი აღიარებით უკვე დიდი ხანია არიან უცხოეთის დაზვერვათა ჯაშუში-აგენტები.

ასე, მაგალითად, ბრალდებულმა ნ. ნ. **კრესტინსკიმ** ხალხის მტრის **ტროცკის** პირდაპირი დავალებით დაიკავა მოღალატური კავშირი გერმანიის დაზვერვასთან 1921 წელს.

ბრალდებულმა ა. პ. **როზენგოლცმა**—ტროცკისტული არალეგალური მუშაობის ერთერთმა ხელმძღვანელმა დაიწყო თავისი ჯაშუშური მუშაობა გერმანიის გენერალური შტაბისათვის 1923 წელს, ხოლო ინგლისის დაზვერვისათვის 1926 წელს.

ბრალდებული ქ. გ. **რაკოვსკი**—ლ. **ტროცკის**—ერთერთი უახლოესი და განსაკუთრებით სანდო ადამიანი, იყო ინგლისის „ინტელიჯენს-სერვისის“ აგენტი 1924 წლიდან და იაპონიის დაზვერვისა—1934 წლიდან.

ბრალდებულმა მ. ა. **ჩერნოვმა** დაიწყო თავისი ჯაშუშური მუშაობა გერმანიის სასარგებლოდ 1928 წელს, დაუკავშირდა რა გერმანიის დაზვერვას საკმაოდ ცნობილი ემიგრანტი-მენშევიკის **დანის** ინიციატივითა და ხელშეწყობით.

ბრალდებული ვ. ფ. **შარანგოვიჩი** გადაბირებულ და გამოგზავნილ იქნა პოლონეთის დაზვერვის მიერ სსრ კავშირში ჯაშუშური მუშაობისათვის 1921 წელს.

ბრალდებული გ. ფ. **გრინკო** გერმანიისა და პოლონეთის დაზვერვათა ჯაშუში გახდა 1932 წელს.

„მემარჯვენე - ტროცკისტების ბლოკის“ ხელმძღვანელები, მათ შორის ამ საქმეზე ბრალდებულნი **რიკოვი, ბუხარინი** და სხვები სავსებით გაცნობილი იყვნენ თავიანთ თანამონაწილეთა ჯაშუშურ კავშირურთიერთობას და ყოველნაირად უწყობდნენ ხელს ამ ჯაშუშური კავშირურთიერთობათა გაფართოებას.

ყოველივე ეს საკმაოდ ხსნის თუ რატომ იყო, რომ ეს ვაჟბატონები, რომელნიც იმყოფებოდნენ უცხოეთის დაზვერვათა სამსახურში, ასე ადვილად თანხმდებოდნენ სსრ კავშირის დანაწილებასა და მთელი ოლქებისა და რესპუბლიკების ჩამოშორებაზე უცხო სახელმწიფოთა სასარგებლოდ.

უცხოეთის დაზვერვებთან „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“ შეთანხმებას აგრეთვე აადვილებდა ისიც, რომ ამ საქმის გამო ბრალდებული ზოგიერთი შეთქმული იყო პროვოკატორი და მეფის ოხრანკის აგენტი.

გაძვრნენ რა საბჭოთა სახელმწიფოს პასუხსაგებ პოსტებზე, ამ პროვოკატორებს ამავე დროს მუდამ ეშინოდათ იმისი, რომ არ გამომჟღავნებულიყო მათი დანაშაულობანი მუშათა კლასის წინააღმდეგ, სოციალიზმის საქმის წინააღმდეგ. თავისი გამომჟღავნების მუდმივ შიშში მყოფნი, შეთქმულების ეს მონაწილენი თავის ერთადერთ ხსნას ხედავდნენ საბჭოთა ხელისუფლების დამხობაში, საბჭოთა წყობილების ლიკვიდაციაში, მემამულეთა და კაპიტალისტთა ხელისუფლების აღდგენაში, რომელთა ინტერესებისათვისაც ისინი მიეყიდნენ მეფის ოხრანკას და რომლის დროსაც შეეძლოთ მათ ეგრძნოთ თავი უშიშრად.

მაგალითად, ბრალდებული ი. ა. **ზელენსკი** იყო სამარის ჟანდარმთა სამმართველოს აგენტი 1911 წლიდან. ამ დროიდან **ზელენსკი** „ოჩკასტის“ და „სალაფის“ მეტსახელით სისტემატურად აწვდიდა ინფორმაციას ჟანდარმთა სამმართველოს ბოლშევიკთა სამარის ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ და ამაში რეგულარულად ღებულობდა ყოველთვიურ ფულად გასამრჯელოს.

ბრალდებულმა **ივანოვმა** თავისი პროვოკატორული მუშაობა დაიწყო 1911 წლიდან, როდესაც იგი გადაიბირა ტულის ოხრანკამ და გახდა ოხრანკის აგენტი და მეტსახელად დაირქვა „სამარინი“.

ბრალდებული **ზუბარევი** გადაიბირა მეფის პოლიციამ 1908 წელს და თანამშრომლობდა მასთან „ვასილის“, „პალინის“, და „პროხორის“ მეტსახელით.

როგორც გამოძიებით გამოირკვა, თავისი დანაშაულობრივი მიზნების — საბჭოთა ხელისუფლების დამხობის, სსრ კავშირში ხელისუფლების დაპყრობის და კაპიტალიზმის აღდგენის — მისაღწევად შეთქმულები უცხოელ დაზვერვათა პირდაპირი მითითებებით, ეწეოდნენ ფართო ჯაშუშურ მუშაობას ამ დაზვერვათა სასარგებლოდ, აწყობდნენ და ანხორციელებდნენ მავნებლურ და დივერსიულ აქტებს იმ მიზნით, რომ უზრუნველეყოთ სსრ კავშირის დამარცხება სსრ კავშირზე ფაშისტ აგრესორთა მომავალი თავდასხმის დროს, ყოველნაირად აჩქარებდნენ პროვოკაციულად ფაშისტ აგრესორთა ამ თავდასხმას, აგრეთვე მოაწყეს და განახორციელეს მთელი რიგი ტერორისტული აქტები პარტიის, მთავრობის ხელმძღვანელებისა და გამოჩენილი საბჭოთა მოღვაწეების წინააღმდეგ.

I. შპიონაჟი საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ და სამშობლოს ღალატი

გამოძიებით დადასტურდა, რომ „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“ მეთაურთა უმრავლესობა, რომლებსაც ბრალი ედებათ ამ საქმის გამო, თავის დანაშაულობრივ საქმიანობას ანხორციელებდა **ტროცკის** პირდაპირი მითითებით და ზოგიერთი უცხო სახელმწიფოს გენერალურ შტაბებში, ფართოდ მოფიქრებული და შემუშავებული გეგმებით.

გერმანიის დაზვერვის აგენტმა — ცნობილმა ტროცკისტმა ბრალდებულმა **კრესტინსკიმ** 1937 წლის 2 დეკემბერს სსრ კავშირის პროკურატურაში დაკითხვის დროს განაცხადა:

> „გერმანელებთან ჯაშუშური კავშირი მე გავაბი **ტროცკის** პირდაპირი დავალებით, რომელმაც მომანდო დამეწყო მოლაპარაკება ამ საკითხზე გენერალ **სექტთან...**“ (ტ. 3, ფ. 102)

შეეხო რა გერმანიის დაზვერვასთან ტროცკისტული ორგანიზაციის კავშირურთიერთობის დამყარების გარემოებებს, ბრალდებულმა **კრესტინსკიმ** აჩვენა რომ 1921 წლის ზამთარში აწარმოებდა მოლაპარაკებას გერმანიის რაიხსვერის სარდალთან გენერალ **სექტთან**, რათა მიეღო რაიხსვერისაგან ფულადი სახსრები ტროცკისტული არალეგალური მუშაობის საწარმოებლად იმ ჯაშუშური მასალების სამაგიეროდ, რომლებსაც ტროცკისტები გერმანიის დაზვერვას აწვდიდნენ.

ამის შესახებ ბრალდებულმა **კრესტინსკიმ** აჩვენა:

> „...**ტროცკიმ** დამავალა მე ბერლინში ჩასვლისთანავე დამეწყო ამ საკითხზე მოლაპარაკება გენერალ **სექტთან. ტროცკის** ეს დირექტივა მე შევასრულე...“ (ტ. 3, ფ. 14).

ბრალდებულმა **კრესტინსკიმ**, ილაპარაკა რა თავის და თავის თანამზრახველთა მოღალატურ მუშაობაზე აჩვენა:

> „გენერლებს **სექტსა** და **ჰასეს** ჩვენ შევუთანხმდით იმაზე, რომ ხელს შევუწყობთ რაიხსვერს შექმნას სსრ კავშირის ტერიტორიაზე მთელი რიგი დასაყრდენი მზვერავი პუნქტები, რაიხსვერის მიერ მივლინებულ მზვერავთა დაუბრკოლებლივ გაშვების გზით, და რომ ჩვენ მივაწვდით რაიხსვერს დაზვერვის მასალებს, ე. ი. უბრალოდ რომ ვთქვათ, ვიქნებით გერმანიის ჯაშუშები. ამაში რაიხსვერმა იკისრა ყოველწლიურად ეძლია 250.000 მარკა სუბსიდიის სახით კონტრრევოლუციური ტროცკისტული მუშაობისათვის...“ (ტ. 3., ფ. 102).
>
> „ფულადი სუბსიდიების გაცემა სწარმოებდა რეგულარულად, ნაწილ-ნაწილად, წელიწადში რამდენჯერმე, უმთავრესად მოსკოვში და იშვიათად ბერლინში...
>
> ამ ფულს, როდესაც მას ამა თუ იმ მიზეზით მოსკოვში არ გაძლევდნენ, ბერლინში ვღებულობდი მე უშუალოდ **სექტისაგან**, ჩვეულებრივ თვითონ მქონდა მოსკოვში და გადავცემდი **ტროცკის**“. (ტ. 3, ფ. 15).

მეორე ცნობილმა ტროცკისტმა, ანტისაბჭოთა ტროცკისტული არალეგალური მუშაობის ერთერთმა ხელმძღვანელმა და შეთქმულობის აქტიურმა მონაწილემ, ბრალდებულმა **როზენგოლცმა**, რომელიც მხილებულია ჯაშუშობაში, დაადასტურა რა რაიხსვერთან **ტროცკის** შეთანხმების ფაქტი, აჩვენა:

> „ჩემი ჯაშუშური საქმიანობა დაიწყო ჯერ კიდევ 1923 წელს, როდესაც **ტროცკის** დირექტივით მე მთელი რიგი საიდუმლო ცნობები გადავეცი რაიხსვერის სარდალს **სექტს** და გერმანიის გენერალური შტაბის უფროსს **ჰასეს**. შემდეგში მე უშუალოდ დამიკავშირდა... ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი ნ., რომელსაც მე პერიოდულად ვაწვდიდი ჯაშუშური ხასიათის ცნობებს. ბ. ნ-ს წასვლის შემდეგ მე განვაგრძობდი ჯაშუშურ კავშირ-ურთიერთობას ახალ ელჩთან ბ-ნ ნ-სთან“. (ტ. 6, ფ. 131).

გერმანიაში ფაშისტური გადატრიალების შემდეგ ტროცკისტთა ჯაშუშურმა მუშაობამ მიიღო კიდევ უფრო ფართო და მკვეთრად გამოხატული პორაჟენცული ხასიათი.

ბრალდებული **ბესონოვი**, რომელიც, მისი საკუთარი აღიარებით, აქტიურ მონაწილეობას იღებდა ტროცკისტების არალეგალურ მოლაპარაკებაში გერმანელ ფაშისტებთან, უმთავრესად, სამხედრო წრეებთან სსრ კავშირის წინააღმდეგ საერთო ბრძოლის შესახებ, არამარტო პირადად აწარმოებდა მოლაპარაკებას როზენბერგის უახლოეს თანამშრომელთან ფაშისტური პარტიის საგარეო პოლიტიკის განყოფილების ხაზით **დაიცთან** ანტისაბჭოთა შეთქმულებისათვის დახმარების გაწევის შესახებ, არამედ იყო აგრეთვე იმ შეხვედრებისა და მოლაპარაკების კურსში, რომლებსაც ლ. **ტროცკი** აწყობდა **გესთან, ნიდერმაიერთან** და პროფ. **ჰაუსჰოფერთან**, რომლებთანაც ლ. **ტროცკიმ** მიაღწია შეთანხმებას იმ პირობებზე, რომელთა შესახებაც ილაპარაკა **პიატაკოვმა** ანტისაბჭოთა ტროცკისტული ცენტრის საქმის გამო გამართულ სასამართლო პროცესზე.

ბრალდებულმა **ბესონოვმა** უჩვენა, რომ:

> „...როგორც ამ პირობებიდან სჩანს...... ტროცკისტებს არალეგალური მუშაობის სიმძიმის ცენტრი გადაჰქონდათ ძირგამომთხრელ ჯაშუშურ, დივერსიულ და ტერორისტულ აქტებზე სსრ კავშირის შიგნით“. (ტ. 11, ფ. 106).

ლ. **ტროცკისა** და სსრ კავშირში ტროცკისტული ორგანიზაციის და ფაშისტური წრეების შეთანხმების არსებობა და სსრ კავშირში გერმანიის დაზვერვის მითითებით ძირგამომთხრელი პორაჟენცული მუშაობის ჩატარება გამოძიების დროს ამ საქმეზე სხვა ბრალდებულებმაც აღიარეს.

მაგრამ გერმანელ ფაშიზმთან კავშირ-ურთიერთობით, როდი განისაზღვრებოდა ტროცკის დაქირავებულ აგენტთა პორაჟენცული მუშაობა. ისინი ანტისაბჭოთა შეთქმულების სხვა მონაწილეებთან ერთად, ლ. **ტროცკის** ხაზის შესაბამისად, ახდენდნენ ორიენტაციას მეორე ფაშისტ აგრესორზედაც — იაპონიაზედაც.

ფაქტიური მხარე ანტისაბჭოთა შეთქმულების მოღალატურ ურთიერთობათა იაპონიის დაზვერვასთან გამოძიების მასალის მიხედვით ასეთი სახით წარმოგვიდგება.

როგორც ბრალდებულმა **კრესტინსკიმ** აჩვენა, ლ. **ტროცკისთან** შეხვედრის დროს მერანში, 1933 წლის ოქტომბერში, **ტროცკიმ** მას განუცხადა, რომ საჭიროა იაპონიის დაზვერვასთან უფრო მჭიდრო კავშირის დამყარება.

ტროცკის ეს მითითება **კრესტინსკიმ** გადასცა **პიატაკოვს** და შეთქმულობის სხვა მეთაურებს, რომლებმაც ბრალდებულ **რაკოვსკისა** და შეთქმულობის სხვა მონაწილეთა მეშვეობით მოღალატური ურთიერთობა დაამყარეს იაპონიის წარმომადგენლებთან, რომლებმაც იკისრეს ვალდებულება შეიარაღებული დახმარება გაეწიათ შეთქმულებისათვის საბჭოთა ხელისუფლების დამხობაში, რის სანაცვლოდ შეთქმულნი შეჰპირდნენ, რომ იაპონიას მისცემენ საბჭოთა პრიმორიეს.

როგორც კვლევაძიებით დადასტურდა, ბრალდებულმა **რაკოვსკიმ** 1934 წლის ზაფხულში იაპონიაში ყოფნასთან დაკავშირებით **პიატაკოვისაგან** მიიღო მითითება იმის შესახებ, რომ —

> „... საჭიროა ერთ და იმავე დროს გაძლიერებულ იქნას საგარეო საქმიანობაც სსრ კავშირისადმი მტრულ მთავრობებთან კონტაქტის მხრივ... საჭიროა ცდა, რათა გამოყენებულ იქნას ტოკიოში გამგზავრება და, რომ, ალბათ,..... მთავრობა გადადგამს საჭირო ნაბიჯებს ამ მიმართულებით“. (ტ. 4, ფ. 194).

ეს დავალება ბრალდებულმა **რაკოვსკიმ** შეასრულა და ტოკიოში ყოფნის დროს მართლაც დაამყარა დანაშაულობრივი კავშირი...... წრეებთან.

ამის შესახებ ბრალდებულმა **რაკოვსკიმ** აჩვენა:

> „ყველა ამ გარემოების ლოგიკური და პრაქტიკული შედეგი იყო ის ფაქტი, რომ მე...... ჩემი ტოკიოში ყოფნის დროიდან გავხდი პირდაპირი აგენტი — ჯაშუში... მთავრობისა, ვიყავი რა გადაბირებული ამ მიზნით,...... მთავრობის დავალებით, კაპიტალისტურ ფეოდალური იაპონიის უაღრესად გავლენიანი პოლიტიკური მოღვაწისა და ერთ-ერთი უდიდესი პლუტოკრატის ბ-ნი ნ...... მიერ“. (ტ. 4, ფ. 186).

იმავე ბრალდებულმა **რაკოვსკიმ**, როცა იგი ლაპარაკობდა ხალხის მტრის ლ. **ტროცკის** კავშირზე ინგლისის დაზვერვასთან, აჩვენა:

> „**ტროცკი**, როგორც მე ვიცოდი, იყო „ინტელიჯენს-სერვისის“ აგენტი 1926 წლის დამლევიდან. ეს მე მაცნობა თვით **ტროცკიმ**“. (ტ. 4, ფ. 363).

„მემარჯვენე - ტროცკისტული ბლოკის“ შემადგენლობაში შემავალ ბურჟუაზიულ ნაციონალისტთა ჯგუფებიც უმჭიდროესად დაკავშირებული იყვნენ უცხოეთის დაზვერვებთან.

ასე, მაგალითად, ბრალდებულმა **გრინკომ**, რომელიც გერმანიის და პოლონეთის დაზვერვათა აგენტი იყო, შეეხო რა უკრაინის ნაციონალ-ფაშისტური ორგანიზაციის ანტისაბჭოთა საქმიანობას, რომლის ერთერთი ხელმძღვანელი იგი თითონ იყო, აჩვენა:

> „... 1930 წელს ეკუთვნის საკითხის განხილვა ჩვენს ორგანიზაციაში იმის შესახებ, რომ საჭიროა შევუთანხმდეთ პოლონეთს, რათა მან სამხედრო დახმარება აღმოუჩინოს საჯანყებო გამოსვლას უკრაინაში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. პოლონეთთან წარმოებული ამ მოლაპარაკების შედეგად, მიღწეულ იქნა შეთანხმება და პოლონეთის გენერალურმა შტაბმა გააძლიერა იარაღის, დივერსანტებისა და პეტლიურელი ემისრების გადმოგზავნა უკრაინაში“. (ტ. 9, ფ. 18).

და შემდეგ:

> „1932 წლის დამლევს, მე, ჩემი ნაციონალისტური მუშაობის ნიადაგზე, მოღალატური კავშირი გავაბი ბ-ნ ნ-თან. ჩვენ ერთმანეთს ვხვდებოდით ჩემს სასამსახურო კაბინეტში, სადაც ბ-ნი ნ. მოდიოდა გერმანული კონცესიის საქმეებზე“.
>
> „1933 წლის მეორე ნახევარში ბ-ნმა ნ-მ მე პირდაპირ მითხრა, რომ გერმანელ ფაშისტებს სურთ თანამშრომლობა უკრაინელ ნაციონალისტებთან უკრაინის საკითხში. მე ბ-ნ ნ-ს თანხმობა განვუცხადე თანამშრომლობაზე. შემდეგში, 1933—1934 წლების მანძილზე მე მქონდა რამდენიმე შეხვედრა ბ-ნ ნ-თან, ხოლო სსრ კავშირიდან მისი წასვლის წინ მე მან დამაკავშირა ბ-ნ ნ-თან, რომელთანაც განვაგრძობდი ჩემს მოღალატურ ურთიერთობას“. (ტ. 9, ფ. 286).

ანტისაბჭოთა შეთქმულების მეორე მონაწილემ და ნაციონალისტური ორგანიზაციის ერთერთმა ხელმძღვანელმა უზბეკისტანში ბრალდებულმა **იკრამოვმა** აჩვენა:

> „ჩვენს წინაშე გამუდმებით ისახებოდა საკითხი იმის შესახებ, რომ საჭიროა ავიღოთ ორიენტაცია ერთერთ ძლიერ ევროპულ სახელმწიფოზე, რომელიც უშუალო დახმარებას აღმოგვიჩენდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლის მომენტში“... (ტ. 12, ფ. 59, 60).
>
> „... კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ზოგიერთი წევრი სთვლიდა ინგლისს უფრო რეალურად ჩვენთვის დახმარების გაწევის საქმეში, რადგან ის ძლიერი ქვეყანაა და შეუძლია საკმარისი ძალით ჩვენთვის მხარის დაჭერა შეიარაღებული უშუალო ბრძოლის მომენტში“... (ტ. 12. ფ. 60).

ბრალდებული **შარანგოვიჩი**, პოლონეთის დაზვერვის აგენტი და ბელორუსიის ნაციონალ ფაშისტების ანტისაბჭოთა ორგანიზაციის ერთერთი ხელმძღვანელი, აღიარებს, რომ ეს ორგანიზაცია აწარმოებდა თავის ძირგამომთხრელ მუშაობას არამარტო მემარჯვენეთა და მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის მითითებით, არამედ პოლონეთის დაზვერვის დირექტივითაც.

ამის გამო ბრალდებულმა **შარანგოვიჩმა** აჩვენა:

> „ამ პერიოდისთვის (1933 წ.) მოისპო ყოველგვარი უთანხმოება მემარჯვენეთა, ტროცკისტებსა და ნაციონალ - ფაშისტებს შორის. ჩვენ ყველანი ერთ ამოცანას ვისახავდით საბჭოთა ხელისუფლებასთან ყოველგვარი მეთოდებით ბრძოლის ამოცანას, ტერორის, დივერსიის და მავნებლობის ჩათვლით. ყველა ამ სამი ორგანიზაციის, რომლებიც მოქმედებდნენ ნაციონალური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, საბოლოო მიზანი იყო, საბჭოთა კავშირისგან ბელორუსიის ჩამოცილება და „დამოუკიდებელი“ ბუფერული სახელმწიფოს შექმნა, რომელიც უეჭველია, სავსებით პოლონეთის და გერმანიის ხელში იქნებოდა.(ტ. 14, ფ. 27).

და შემდეგ:

> „მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ვღებულობდით დირექტივებს ერთი მხრივ მოსკოვიდან, — მემარჯვენეთა და ტროცკისტული ცენტრიდან, მეორე მხრივ კი ვარშავიდან — პოლონეთის მთავრობის წრეებიდან, არავითარი განსხვავება მათ შინაარსში არ იყო, ისინი მთლიანი იყვნენ და ჩვენ მიერ ტარდებოდნენ ცხოვრებაში“. (ტ. 14, ფ. 31).

ბრალდებულმა **რიკოვმა** სავსებით დაადასტურა მემარჯვენეთა მოღალატური კავშირის არსებობა ფაშისტურ პოლონეთთან და აჩვენა:

> „... მემარჯვენე ორგანიზაციის მონაწილეთა ჯგუფმა, მემარჯვენეთა ცენტრის მითითებების და ჩემი პირადი მითითებების შესაბამისად, ჩვენი შეთქმულებით, მოღალატური გეგმების განხორციელების მიზნით დაამყარა კავშირი ფაშისტურ პოლონეთთან და კერძოდ პოლონეთის მზვერავ ორგანოებთან. (ტ. 1, ფ. 118).

ლაპარაკობდა რა შემდეგ სსრ კავშირისაგან ბელორუსიის ჩამოცილების გეგმების შესახებ, ბრალდებულმა **რიკოვმა** აჩვენა:

> „საერთო ფორმულა, რომელზედაც ჩვენ მაშინ შევთანხმდით, იმაში მდგომარეობდა, რომ პოლონელებთან მოლაპარაკების დროს... ჩვენ წავალთ სსრ კავშირისაგან ბელორუსიის საბჭოთა რესპუბლიკის ჩამოცილებაზე „დამოუკიდებელი“ ბელორუსიის შექმნაზე პოლონეთის პროტექტორატის ქვეშ...“ (ტ. 1, ფ. 119).

როგორც გამოძიებით დადასტურებულია, მთელი ბოროტმოქმედური საქმიანობა, „მემარჯვენე-ტროცკისტულ ბლოკში“ შემავალ მემარჯვენე ანტისაბჭოთა ჯგუფისა ამტკიცებს, რომ მემარჯვენეები ისეთივე აგენტურა იყო უცხოეთის გენერალური შტაბებისა, როგორც ამ შეთქმულების სხვა მონაწილეები.

ზოგიერთები მემარჯვენეთა რიცხვიდან — უშუალოდ, ზოგიც თავის თანამზრახველთა მეშვეობით აგრეთვე დაკავშირებული იყვნენ უცხო სახელმწიფოების დაზვერვასთან, რომლის დახმარებაზე ამყარებდნენ მთელს თავის იმედებს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ბრალდებული **ბუხარინი** ლ. **ტროცკის** და გერმანელი ფაშისტების მოლაპარაკების საქმის კურსში იყო და ისევე, როგორც ლ. **ტროცკი**, ამზადებდა სსრ კავშირის დამარცხებას და სსრ კავშირისგან უკრაინის, ბელორუსიის, პრიმორიეს, საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის და შუააზიის რესპუბლიკების ჩამოცილებას.

ეს აღიარა სავსებით ბრალდებულმა **ბუხარინმა**, რომელმაც შემდეგი აჩვენა:

> „იმ დროისთვის, როდესაც **ტროცკი** აწარმოებდა მოლაპარაკებას გერმანელ ფაშისტებთან და შეპირდა მათ ტერიტორიულ დათმობებს, ჩვენ, მემარჯვენეები, უკვე ვიყავით ბლოკში ტროცკისტებთან. **რადეკი** მელაპარაკებოდა, რომ ტროცკი ბლოკის მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდების ძირითად შანსად სთვლის სსრ კავშირის დამარცხებას გერმანიასთან და იაპონიასთან ომში და ამ დამარცხების შემდეგ წინადადებას იძლევა გერმანიას მიეცეს უკრაინა, ხოლო იაპონიას შორეული აღმოსავლეთი. **რადეკმა** მაცნობა ეს 1934 წელს...“ (ტ. 5. ფ. 107).

ამის გამო ბრალდებულმა ფ. **ხოჯაევმა** დაკითხვის დროს აჩვენა:

> „**ბუხარინი** აღნიშნავდა, რომ უზბეკისტანი და თურქმენია უნდა ჩამოშორებულ იქნენ სსრ კავშირისგან და უნდა იარსებონ იაპონიის და გერმანიის პროტექტორატის ქვეშ, მაგრამ ამასთან გვერდს ვერ ავუვლით ინგლისს და ამიტომ უნდა გავაბათ კავშირი ინგლისელებთან. ყველაზე უფრო რეალურად იდგა საკითხი ინგლისის პროტექტორატისა და ამიტომ მთელი ყურადღება მიექცა მას“. (ტ. 13, ფ. 89).

ბრალდებულ ფ. **ხოჯაევის** ჩვენებას მთლიანად ადასტურებენ კვლევა-ძიების დანარჩენი მასალები, რომლებიც სავსებით ამჟღავნებენ „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“ პორაჟენცულ ხაზს.

ასე, მაგალითად, ბრალდებულმა **რიკოვმა** ამ საკითხზე აჩვენა:

> „რაც შეეხება ჩვენს პორაჟენცულ პოზიციას, **ბუხარინი** ამასაც მთლიანად იზიარებდა და მხარს უჭერდა ამ პოზიციას კიდევ უფრო მკვეთრად, ვიდრე ჩვენ. კერძოდ, სწორედ მან შემოიტანა წინადადება და ჩამოაყალიბა ომის შემთხვევაში გერმანელებისათვის ფრონტის გახსნის იდეა“. (ტ. 1, ფ. 152).

დაახასიათა რა თავისი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი, ბრალდებულმა **რიკოვმა** აჩვენა:

> „ისე როგორც მემარჯვენეთა ცენტრის დანარჩენმა წევრებმა, მე ვიცოდი, რომ სწარმოებდა ჩვენი კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წარმომადგენელთა მოღალატური მოლაპარაკება გერმანიის ფაშისტებთან, რომელთა დახმარებასაც ჩვენ ვეძებდით. ბუნებრივია, რომ ასეთი დახმარება დაკავშირებული იყო გერმანიის ფაშისტების წინაშე დათმობებთან, რისი თანახმაც ვიყავით“. (ტ. 1, ფ. 151).

ასეთი იყო „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“, ამ მოღალატეთა, ჯაშუშური და პორაჟენცული მუშაობა, რომლებიც უცხოეთის დაზვერვებზე ჰყიდდნენ საბჭოთა სახელმწიფო საიდუმლოებებს, ვაჭრობდნენ სსრ კავშირის ხალხთა თავისუფლებით, მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფოს დამოუკიდებლობითა და ხელშეუხებლობით.

ანხორციელებდნენ რა თავის დანაშაულობრივ ზრახვებს ანტისაბჭოთა შეთქმულებმა, უცხოეთის ფაშისტურ დაზვერვათა პირდაპირი დირექტივებით, საბჭოთა კავშირის ცალკეულ რესპუბლიკებსა, მხარეებსა და ოლქებში მოაწყეს დივერსიული და მავნებლური ბუდეების განშტოებული ქსელი, მოიცვეს რა მრეწველობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის და საქონელბრუნვის სისტემის მთელი რიგი საწარმოები.

დასდეს რა შეთანხმება ფაშისტურ მთავრობებთან იმის შესახებ, რომ ამ ფაშისტური სახელმწიფოების არმიებს გამცემლურად გაუხსნიდნენ ჩვენს ფრონტებს ომის დროს, მემარჯვენე-ტროცკისტული შეთქმულების მონაწილენი ამზადებდნენ წითელი არმიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის—თავდაცვის მრეწველობის ძირგამოთხრას.

მთელი რიგი დამანგრეველი დივერსიული მოქმედებით, რომლებსაც ისინი ამზადებდნენ, შეთქმულებს განზრახვა ჰქონდათ ომის დროს აეფეთქებინათ და მოესპოთ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს თავდაცვის გადამწყვეტი საწარმოები. ისინი აგრეთვე ამზადებდნენ რკინიგზის სამხედრო მატარებლების მარცხების ჩატარებას ადამიანთა მასობრივი მსხვერპლით.

ისინი თავის ამოცანად ისახავდნენ მოეშალათ ქვეყნის მთელი სამეურნეო ცხოვრება, არმიის კვება და მისთვის იარაღის მიწოდება.

გამოძიებით დადასტურდა რომ მთელი რიგი ასეთი დივერსიული და მავნებლური აქტები შეთქმულებმა უკვე გაატარეს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში.

უცხოეთის დაზვერვათა დაქირავებული, ხალხის მტერი **ტროცკი**, როგორც ეს გამოძიებით დადასტურებულია, მთელ რიგ თავის წერილებსა და პირად მითითებებში სსრ კავშირში ანტისაბჭოთა შეთქმულობის ხელმძღვანელ მონაწილეთა მიმართ მოითხოვდა გაეძლიერებინათ მავნებლური და დივერსიული საქმიანობა საბჭოთა კავშირის შიგნით.

შეთქმულობის ხელმძღვანელმა მონაწილემ—ბრალდებულმა **კრესტინსკიმ** უჩვენა, რომ 1933 წელს მერანში ლ. **ტროცკიმ** პირადად მას განუცხადა, რომ —

> „...მისთვის, **ტროცკისთვის** გაცილებით უფრო ადვილი იქნება მოლაპარაკება გერმანელებთან, თუ იგი შესძლებს უთხრას მათ, რომ დივერსიულ-მავნებლური აქტების ჩატარებისა და ტერორის მომზადების ხაზით—ნამდვილად სერიოზული მუშაობა სწარმოებს“. (ტ. 3, ფ. 54-55).

გამოძიებით დადასტურებულია, რომ შორეულ-აღმოსავლეთის მხარეში მოწყობილი მთელი რიგი დივერსიული აქტები მომზადებული და ჩატარებული იყო ანტისაბჭოთა შეთქმულობის მონაწილეების მიერ იაპონელთა დაზვერვის ორგანოებისა და ხალხის მტრის ლ. **ტროცკის** პირდაპირი დირექტივებით. ასე, მაგალითად, იაპონიის დაზვერვის დირექტივით მოეწყო სამხედრო ტვირთით სავსე საქონლის მატარებლის დამტვრევა სადგურ ვოლოჩაევკაზე და მატარებელი № 501-სა ხორ-დორმიდონტოვკის გადასარბენზე, სადაც მოკლული იქნა 21 კაცი და დაიჭრა 45 კაცი. იაპონელთა იმავე მითითებით მოხდა დივერსიები სუჩანის № 10 და 20 შახტებში.

ლ. **ტროცკისაგან** გამომდინარე ასეთი დირექტივების შესახებ გამოძიების დროს დაწვრილებითი ჩვენება მისცა ბრალდებულმა **როზენგოლცმა**, რომელმაც აჩვენა შემდეგი:

> „**ტროცკის** დირექტივასთან ერთად, რომელიც მე მივიღე **კრესტინსკისა** და **სედოვის** მეშვეობით, საგარეო ვაჭრობაში მავნებლური მუშაობის გატარების შესახებ, რომელიც მიმართული იყო გერმანიისა და იაპონიისათვის პირდაპირი დახმარების აღმოჩენისაკენ,—ჩემი მავნებლური საქმიანობის ხასიათი განისაზღვრებოდა აგრეთვე გერმანიის ელჩების სსრ კავშირში ბ-ნი ნ-ის და ბ-ნი ნ-ის მითითებებით, რომლებთან კავშირმაც ამ მხრივ დიდი როლი ითამაშა, რადგან მე მუშაობაში მიხდებოდა მათი კონკრეტული მითითებებით ხელმძღვანელობა.
>
> **ტუხაჩევსკისთან** და **რიკოვთან** კონტაქტის დამყარების შემდეგ, მე ვაცნობე პირველს **კრესტინსკის** მეშვეობით, ხოლო უკანასკნელს პირადად მე **ტროცკის** დირექტივების შესახებ მავნებლური მუშაობის გარშემო, და ორივემ მოიწონა ჩემ მიერ ამ მუშაობის გატარება.
>
> მავნებლობა საგარეო ვაჭრობაში ყოველივე ამის შედეგად მიდიოდა, უმთავრესად, შემდეგი სამი ხაზით: პირველი—გერმანიისა და იაპონიისათვის ეკონომიური დახმარების გაწევა სსრ კავშირის ხარჯზე; მეორე—სსრ კავშირისათვის ეკონომიური ზარალისა და ზიანის მიყენება; მესამე — სსრ კავშირისათვის პოლიტიკური ზარალის მიყენება“. (ტ. 6, ფ. 49).

„მემარჯვენე - ტროცკისტული ბლოკის“ მითითებებით, ბრალდებულმა **შარანგოვიჩმა** ფართო მავნებლობა გაშალა ბელორუსიის სს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის დარგში.

ამის შესახებ ბრალდებულმა **შარანგოვიჩმა** აჩვენა:

> „ადგილებზე, ჩვენი მავნებლური ზრახვების პრაქტიკულად განხორციელებისათვის, შეიქმნა მავნებლური დივერსიული ჯგუფების ქსელი... ჩვენ ყველანი, დაწყებული ორგანიზაციის ხელმძღვანელებით და გათავებული მისი რიგითი წევრებით, ვიყავით ნაციონალ-ფაშისტები და ვეწეოდით მუშაობას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, სსრ კავშირისაგან ბელორუსიის ჩამოსაშორებლად, არ ვერიდებოდით რა არავითარ საშუალებას“... (ტ. 14, ფ. 40).

ბრალდებულმა **ჩერნოვმაც**, რომელიც მთელი რიგი წლების მანძილზე დაკავშირებული იყო გერმანიის დაზვერვასთან, როგორც მისი საიდუმლო აგენტი სსრ კავშირში, აგრეთვე აქტიურად გამოიყენა თავისი მაღალი სამსახურებრივი მდგომარეობა სსრ კავშირში, რათა გერმანიის დაზვერვის დავალებით მოეწყო მთელი რიგი დივერსიულ-მავნებლური მოქმედებანი სოფლის მეურნეობაში.

გერმანიის ჯაშუშმა ბრალდებულმა **ჩერნოვმა** გერმანელ მზვერავთან გაზეთ „ბერლინერ ტაგებლატის“ კორესპონდენტ **შეფერთან** თავისი დანაშაულობრივი კავშირისა და სოფლის მეურნეობის დარგში თავისი მავნებლური მუშაობის შესახებ აჩვენა შემდეგი:

> „როცა მე სამუშაოდ გადავედი დამზადებათა კომიტეტში, მაშინ **შეფერმა** გადმომცა გერმანელების დავალება — გამეტარებინა მავნებლური საქმიანობა დამზადებათა კომიტეტის ხაზით, განსაკუთრებით სამობილიზაციო მარაგთა დარგში.
>
> დაზვერვის დავალებანი მავნებლობის შესახებ ემთხვეოდა იმ მითითებებს, რომლებსაც მე, როგორც მემარჯვენეთა ორგანიზაციის წევრი, ვღებულობდი **რიკოვისაგან**. მით უფრო მეტი ხალისით შევუდექი მე მათ შესრულებას“. (ტ. 8, ფ. 8).

ამის შესახებ ბრალდებულმა **ჩერნოვმა** აჩვენა:

> „1934 წელს, შევხვდი რა **რიკოვს** მის აგარაკზე, მე მივიღე მისგან დავალება ფართოდ გამეჩაღებინა მავნებლობა სოფლის მეურნეობის დარგში. ეს დავალება მე შევასრულე და საკმაოდ აქტიურად ვატარებდი მავნებლურ ძირგამომთხრელ საქმიანობას“. (ტ. 8, ფ. 93).

მნიშვნელოვანი ძირგამომთხრელი მავნებლური საქმიანობა აღმოაჩინა კვლევა-ძიებამ სოფლის მეურნეობის დარგში უზბეკისტანშიაც, სადაც მოქმედებდნენ ნაციონალისტური ორგანიზაციები, რომელთაც თავისი მეთაურების ბრალდებულ **იკრამოვისა და ხოჯაევის** მეშვეობით ბლოკი ჰქონდათ ანტისაბჭოთა შეთქმულობის ცენტრთან.

ამ ნაციონალისტური ორგანიზაციის ერთერთმა ხელმძღვანელმა ბრალდებულმა ფაიზულა **ხოჯაევმა** აჩვენა:

> „ჩვენ არ ვკმაყოფილდებოდით მხოლოდ კადრების მომზადებით საბჭოთა ხელისუფლებასთან შეიარაღებული ბრძოლისათვის, არამედ ჩვენ უკვე მაშინვე აქტიურად ვმოქმედებდით სსრ კავშირის სიმძლავრისათვის ძირის გამოთხრის მიზნით“. (ტ. 13, ფ. 66).

უზბეკისტანში მავნებლურ ღონისძიებათა ფართოდ გატარება სავსებით დაადასტურა აგრეთვე ბრალდებულმა **იკრამოვმა**, რომელმაც აჩვენა, რომ მემარჯვენე-ტროცკის-

(გაგრძელება იხ. მე-3 გვ.)

საბრალდებო დასკვნა

ნ. ი. ბუხარინის, ა. ი. რიკოვის, გ. გ. იაგოდას, ნ. ნ. კრესტინსკის, ქ. გ. რაკოვსკის, ა. პ. როზენგოლცის, ვ. ი. ივანოვის, მ. ა. ჩერნოვის, გ. ფ. გრინკოს, ი. ა. ზელენსკის, ს. ა. ბესონოვის, ა. იკრამოვის, ფ. ხოჯაევის, ვ. ფ. შარანგოვიჩის, პ. ტ. ზუბარევის, პ. პ. ბულანოვის, ლ. გ. ლევინის, დ. დ. პლეტნევის, ი. ნ. კაზაკოვის, ვ. ა. მაქსიმოვ-დიკოვსკისა და პ. პ. კრიუჩკოვის

საქმეზე, რომელთაც ბრალი ედებათ მასში, რომ იმათ საბჭოთა კავშირისადმი მტრულად განწყობილი უცხო სახელმწიფოების დაზვერვების დავალებით შეადგინეს შეთქმულთა ჯგუფი სახელწოდებით „მემარჯვენე - ტროცკისტული ბლოკი", რომელმაც მიზნად დაისახა ჯაშუშობა უცხო სახელმწიფოების სასარგებლოდ, მავნებლობა, დივერსიები, ტერორი, სსრკ სამხედრო ძლიერებისათვის ძირგამოთხრა, ამ სახელმწიფოების სამხედრო თავდასხმის პროვოკაცია სსრ კავშირზე, სსრ კავშირის დანაწილება, მისგან უკრაინის, ბელორუსიის, შუააზიის რესპუბლიკების, საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, შორეულ აღმოსავლეთში პრიმორიეს ჩამოცილება ხსენებული უცხო სახელმწიფოების სასარგებლოდ, დასასრულ, სსრ კავშირში არსებული სოციალისტური, საზოგადოებრივი და სახელმწიფო წესწყობილების დამხობა და კაპიტალიზმის აღდგენა, ბურჟუაზიის ხელისუფლების აღდგენა.

(გაგრძელება)

ტულმა ბლოკმა მის წინაშე დასვა შემდეგი ამოცანები:

„...ა) გაიშალოს მუშაობა უზბეკისტანში შეიარაღებული აჯანყების მომზადებისათვის და შეუფარდდეს იგი ინტერვენციის მომენტს.

ბ) გადაჭრით გაიშალოს მავნებლური და დივერსიული მუშაობა სახალხო მეურნეობის ყველა დარგებში იმ ვარაუდით, რომ მავნებლობის შედეგებით გამოწვეულ იქნეს მშრომელთა შორის უკმაყოფილება საბჭოთა ხელისუფლებით და ამით მომზადდეს ხელსაყრელი ნიადაგი შეიარაღებული აჯანყების მოწყობისათვის საჭირო მომენტში".

„ამას გარდა,—აჩვენა ბრალდებულმა **იკრამოვმა**,—ჩვენი განზრახვით ჩვენს ძირგამომთხრელ მავნებლურ მუშაობას უნდა შეეფერხებინა სსრკ თავდაცვის უნარიანობის განმტკიცება". (ტ. 12, ფ. 95, 96).

ნგრევითს საქმიანობას, როგორც სოფლის მეურნეობის, ისე სახალხო მეურნეობის და სოციალისტური აღმშენებლობის მთელ რიგ სხვა დარგებში, აწარმოებდნენ ამ საქმეში სხვა ბრალდებულებიც.

ასე მაგალითად, ბრალდებული **გრინკო** აწარმოებდა მავნებლურ მუშაობას ფინანსების დარგში.

ბრალდებულმა **გრინკომ** აჩვენა:

„ძირგამომთხრელი მუშაობა ფინანსთა სახალხო კომისარიატში ძირითად მიზნად ისახავდა: საბჭოთა მანეთის დასუსტებას, სსრკ ფინანსიურ ძლიერების დასუსტებას, მეურნეობის არევ-დარევას და მოსახლეობაში უკმაყოფილების გამოწვევას საბჭოთა ხელისუფლების ფინანსიური პოლიტიკით, უკმაყოფილებას გადასახადებით, უკმაყოფილებას შემნახველი სალაროების მიერ მოსახლეობის ცუდი მომსახურებით, ხელფასის გაცემის შეჩერებით და სხვა, რასაც უნდა გამოეწვია ფართო ორგანიზებული უკმაყოფილება საბჭოთა ხელისუფლებით და შეემსუბუქებინა შეთქმულთათვის მომხრეთა გადაბირება და აჯანყებითი საქმიანობის გაშლა". (ტ. 9, ფ. 79).

ბრალდებული **ზელენსკი** და მის მიერ ორგანიზებული მავნებლური ჯგუფები ცენტროსოიუზში და კოოპერაციის სისტემაში აწარმოებდნენ არევდარევას ისეთი საქონლების დარგში, როგორიც შაქარი, კარაქი, კვერცხი, წეკო და სხვა, განზრახ აყოვნებდნენ საქონლის სოფელში გატანას, არევდარევა შექონდათ აღრიცხვაში და ანგარიშიანობაში, რაც ხელს უწყობდა სახელმწიფო თანხების დაუსჯელ მტაცებლობას და გაფლანგვას, ხელს უწყობდნენ მომხმარებლის გაქურდვას და ანგარიშში მოტყუებას.

ლაპარაკობდა რა ცენტროსოიუზში საქონლის აღრიცხვის და ანგარიშ-წარმოების მის მიერ შემოღებულ მავნებლურ სისტემაზე, ბრალდებულმა **ზელენსკიმ** აჩვენა:

„ასეთ მდგომარეობის გამო ქურდი დაუსჯელი რჩებოდა, პატიოსან მუშაკს კი, აღრიცხვის სირთულის გამო, ანგარიში ებნეოდა და დაუყოვნებლივ ხვდებოდა გამფლანგველთა რიცხვში". (ტ. 10, ფ. 56).

მოღალატურ - მავნებლურ საქმიანობას მნიშვნელოვან მასშტაბით ატარებდა აგრეთვე ახლა მხილებული აგენტი უცხოეთის დაზვერვისა ბრალდებული **როზენგოლცი**.

ამ დარგში თავისი მოღალატური საქმიანობის შესახებ ბრალდებულმა **როზენგოლცმა** შემდეგი უჩვენა:

„რამდენადაც **ტროცკის** ჰქონდა შეთანხმება გერმანიასთან და იაპონიასთან, რაც მე მეცნობა (როგორც მოლაპარაკების წარმოების დროს — **სედოვთან** შეხვედრისას 1933 წელს, ისე მომხდარი შეთანხმების შესახებ—მასთან შეხვედრისას 1934 წელს) და მქონდა ამ მხრივ **ტროცკის** სათანადო მითითება, ჩემი მავნებლური მუშაობაც საგარეო ვაჭრობაში ამ მიზანს ემსახურებოდა". (ტ. 6, ფ. 48).

აქტიური დივერსიულ - მავნებლური მუშაობის მოწყობასთან ერთად შეთქმულნი ფაშისტურ დაზვერვათა ბრძანებისამებრ თავის ამოცანად ისახავდნენ ჩვენს ქვეყანაში ბანდიტურ - საჯანყებო მოძრაობის გამოწვევას, უფარდებდნენ რა თავიანთი საჯანყებო ანტისაბჭოთა ბანდების შეიარაღებულ გამოსვლას წითელი არმიის ზურგში სსრ კავშირის წინააღმდეგ ინტერვენციის დაწყების მომენტს.

ბრალდებულმა **რიკოვმა** უჩვენა:

„ჩვენ დავადექით პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელობის ძალდატანებით დამხობის გზას, გადავსწყვიტეთ რა მოგვეხდინა ეს დამხობა კულაკურ აჯანყებათა მოწყობის გზით". (ტ. 1, ფ. 150).

გამოძიებით დადასტურებულია, რომ ეს კულაკურ - საჯანყებო შეიარაღებული გამოსვლები, რომლებსაც წითელი არმიის ზურგში ამზადებდნენ, დამოკიდებული იყო იმ ფაშისტურ სახელმწიფოთა გეგმებსა და ანგარიშებზე, რომელნიც ამზადებდნენ სსრ კავშირზე თავდასხმას, და რომ მემარჯვენე-ტროცკისტი შეთქმულები სწორედ ფაშისტური ქვეყნების გენერალურ შტაბთა სიგნალის მიხედვით ამზადებდნენ თავიანთ გამოსვლას.

ასრულებდნენ რა ფაშისტთა დაზვერვების ამ დირექტივებს, შეთქმულობის მონაწილენი აგროვებდნენ ბანდიტურ - საჯანყებო კადრებს, ამზადებდნენ მათ აქტიური შეიარაღებული გამოსვლებისათვის შორეულ - აღმოსავლეთში, ჩრდილო-კავკასიაში და საბჭოთა კავშირის სხვა ადგილებში, კერძოდ უზბეკეთში.

ამის გამო ბრალდებულმა **ხოჯაევმა** უჩვენა:

„ჩვენი ორგანიზაციების პრაქტიკული მუშაობის ძირითადი ამოცანა იყო აქტიურ ანტისაბჭოთა კადრების მომზადება და მათი აღზრდა სსრ კავშირთან ბრძოლის სულისკვეთებით. ჩვენ ორგანიზაციის მონაწილეთ ვაძლევდით ორიენტაციას იმაზე, რომ ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებასთან მწვავე ფორმებს მიიღებს და შეიარაღებულ შეტაკებამდე მივა. ამიტომ ჩვენ ყურადღებას ვუთმობდით ჩვენი ორგანიზაციის მონაწილეთა მებრძოლი ძალების მომზადებას". (ტ. 13, ფ. 66).

ბანდიტურ - საჯანყებო კადრების ორგანიზატორები, ემყარებოდნენ მხოლოდმხოლოდ ძველი კონტრრევოლუციური ელემენტების ნაშთებს, ჰქონდათ რა აღებული გეზი იმაზე, რომ თავიანთი საჯანყებო რეზერვები შეევსოთ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე გამოგზავნილი ბასმაჩების, თეთრგვარდიელების ნაშთებით, აგრეთვე სისხლის სამართლის ბანდიტებით, ბანაკებში მყოფ პატიმრებით და სხვ.

ბრალდებულმა **იკრამოვმა** იმ ბურჟუაზიულ - ნაციონალისტური ორგანიზაციის ბანდიტურ - საჯანყებო საქმიანობის შესახებ, რომელსაც იგი ხელმძღვანელობდა უზბეკეთში, აჩვენა:

„ჩვენ შევინარჩუნეთ საჭირო კადრები, რომლებიც მომავალში უნდა გამოგვეყენებინა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლისათვის. ამ კადრებს პირველ რიგში წარმოადგენდნენ კულაკობის ნაშთები, სასულიერო წოდების პირნი და ყოფილი ბასმაჩები. ჩვენ დავალება მივეცით ჩვენი ორგანიზაციის წევრებს, რომლებიც ხელმძღვანელ რაიონულ სამუშაოზე იმყოფებოდნენ, შეენარჩუნებინათ ეს კადრები. ამას გარდა, ჩვენ ვფიქრობდით, რომ შეიარაღებული გამოსვლის დროს კორდონიდან საბჭოთა ტერიტორიაზე გადმოვიდოდნენ იმ ბასმაჩთა ბანდების ნაშთები, რომელნიც ერთ დროს წავიდნენ". (ტ. 12, ფ. 56).

კვლევა-ძიების მასალებით და ბრალდებულების **ბუხარინის, ზუბარევის, ზელენსკის** და სხვების პირადი ჩვენებებით დადასტურდა, რომ ისინი აწარმოებდნენ საჯანყებო კადრების აქტიურ მომზადებას, ცდილობდნენ რა მოეცვათ საბჭოთა კავშირის რაც შეიძლება მეტი რაიონები; ამასთან საჯანყებო ბაზის მაქსიმალურად გაფართოების მიზნით, შეთქმულობის ხელმძღვანელებმა კონტაქტი დაამყარეს ესერების არალეგალურად მომქმედ ორგანიზაციასთანაც.

ასე, მაგალითად, ბრალდებულმა **ბუხარინმა** აჩვენა:

„ესერებთან კავშირ-ურთიერთობის დამყარება ეკუთვნის იმ პერიოდს, როდესაც მემარჯვენეთა ორგანიზაციას აღებული ჰქონდა გეზი კულაკურ აჯანყებებზე. იმასთან დაკავშირებით, რომ მემარჯვენეები თანახმანი იყვნენ ასეთ აჯანყებათა მოწყობისა, საჭირო გახდა კავშირის გაბმა ესერებთან, რომლებსაც გადგმული ჰქონდათ ფესვები სოფლის კულაკურ ფენებში.

...პირადად მე **სემიონოვის** მეშვეობით დავამყარე კავშირი ესერების ცენტრალურ კომიტეტთან საბჭოთა კავშირში და **ჩლენოვის** მეშვეობით — ესერების საზღვარგარეთულ ცენტრალურ კომიტეტთან პარიზში". (ტ. 5, ფ. 90-91).

ასეთია მემარჯვენე - ტროცკისტული ბლოკის სამარცხვინო ბოროტმოქმედებათა ჯაჭვი, იმ ბლოკისა, რომელიც მთელი რიგი წლების განმავლობაში ახორციელებდა თავის გამცემლურ საქმიანობას სსრ კავშირისადმი მტრულად განწყობილ უცხო სახელმწიფოთა ინტერესებისათვის.

II. საბჭოთა სახელმწიფოს მოღვაწეების ს. მ. კიროვის, ვ. რ. მენჟინსკის, ვ. ვ. კუიბიშევის, ა. მ. გორკის მოკვლა. შეთქმულობა ვ. ი. ლენინის წინააღმდეგ 1918 წელს

არ ჰქონდათ რა იმედი, რომ დაამხობდნენ საბჭოთა წყობილებას შპიონაჟის, მავნებლური, დივერსიული, კულაკური აჯანყებების მეთოდებით, მემარჯვენე - ტროცკისტი შეთქმულნი, სსრ კავშირისადმი გაბოროტებულნი და სიძულვილით აღსავსენი, გადავიდნენ ტერორისტული აქტების მომზადებასა და შესრულებაზე მთავრობის და საკ. კ. პ. (ბ) ხელმძღვანელთა წინააღმდეგ.

როგორც გამოძიებით დადასტურდა, იაპონიისა და გერმანიის დაზვერვებთან პირდაპირი შეთანხმებით და ხალხის მტრის ლ. **ტროცკის** დავალებით, მემარჯვენე-ტროცკისტულმა ბლოკმა მოაწყო და ჩაიდინა მთელი რიგი ტერორისტული აქტები ჩვენი სამშობლოს საუკეთესო ადამიანების წინააღმდეგ.

მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის გადასვლა ტერორზე ბრალდებულმა **რიკოვმა** შემდეგნაირად დაასაბუთა:

„მემარჯვენეთა კონტრრევოლუციური ორგანიზაციის არალეგალური შეთქმულობითი ხასიათის გამო, არ არსებობდა რა არავითარი მასობრივი ბაზა მისი კონტრრევოლუციური მუშაობისათვის, არ იყო რა იმედი რაიმე სხვა გზით ჩავდგომოდით ხელისუფლებას სათავეში,—ტერორისა და „სასახლეში მომხდარი გადატრიალების" მიღება, ცენტრის აზრით, რაღაც პერსპექტივას იძლეოდა". (ტ. 1, ფ. 50).

ბრალდებულმა **ბუხარინმა**, რომელიც გამოძიების დროს გამოტყდა, რომ მემარჯვენე - ტროცკისტული ბლოკი ტერორის გზას ჯერ კიდევ 1932 წელს დაადგა, აჩვენა შემდეგი:

„იმავე 1932 წელს **პიატაკოვთან** შეხვედრის და ლაპარაკის დროს, მე მისგან გავიგე, რომ მან ინახულა ლ. **სედოვი** და **სედოვისაგან** მიიღო **ტროცკის** პირდაპირი დირექტივა გადავიდნენ ტერორზე პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელობის წინააღმდეგ. აგრეთვე უნდა აღვიარო, რომ არსებითად მაშინ ჩვენ წავედით კიდევაც ტერორისტებთან შეთანხმებაზე, მხოლოდ ჩემი ლაპარაკი **პიატაკოვთან** წარმოადგენდა შეთანხმებას ჩვენი და **ტროცკის** იმ მოქმედებათა კოორდინაციის შესახებ, რომლებიც მიმართული იყო პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელობის ძალდატანებით დამხობისაკენ". (ტ. 5, ფ. 105).

შეთქმულთა ტერორისტული საქმიანობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული მთელ მათ პორაჟენცულ მუშაობასთან, რასაც მოწმობს, მაგალითად, ბრალდებული **ივანოვის** შემდეგი ჩვენება:

„ლაპარაკობდა რა ტერორზე, **ბუხარინი** აცხადებდა, რომ პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ბელადების „ლიკვიდაციას", როგორც იგი ამბობდა,... ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება ხელისუფლების სათავეში ჩვენი ჩადგომისათვის და ხელს შეუწყობს სსრ კავშირის დამარცხებას ომში". (ტ. 7, ფ. 81).

შეთქმულთა ბლოკმა, რომელიც ასრულებდა ამ მხრივ მიღებულ გადაწყვეტილებებს, ფართოდ გაშალა ტერორისტული ჯგუფების ორგანიზაცია და პრაქტიკული მზადება საკ. კ. პ. (ბ) და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ ტერორისტული აქტების მოსახდენად.

აი რა აჩვენა ამის შესახებ ბრალდებულმა **რიკოვმა**:

„იმ დროისათვის ჩვენ უკვე დავადექით ტერორის გზას, როგორც საბჭოთა ხელისუფლებასთან ჩვენი ბრძოლის ერთერთ მეთოდს... ეს ჩვენი პოზიცია გამოიხატა ჩვენს სრულიად კონკრეტულ მოქმედებით და, კერძოდ, ჩემი მოქმედებით, რათა მომემზადებინა ტერორისტული აქტები პოლიტბიუროს წევრების, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელების წინააღმდეგ, და პირველ რიგში სტალინის, მოლოტოვის, კაგანოვიჩის და ვოროშილოვის წინააღმდეგ. 1934 წელს მე უკვე მივეცი დავალება **არტემენკოს** ტერორისტულ ჯგუფს, რომელიც ჩემ მიერ იყო შექმნილი, თვალყური ედევნებინათ პარტიისა და მთავრობის მანქანებისათვის". (ტ. 1, ფ. 150-151).

ბრალდებულმა **ბუხარინმა**, ილაპარაკა რა ესერ **სემიონოვის** წინადადებაზე ტერორისტული ჯგუფის შექმნის შესახებ, აჩვენა:

„მე მინდა სიმართლე აღვიარო და ვაცხადებ, რომ ეს წინადადება მე მოვახსენე ცენტრის თათბირს და ჩვენ გადავწყვიტეთ დაგვევალებინა **სემიონოვისათვის** ტერორისტული ჯგუფების ორგანიზაცია". (ტ. 5, ფ. 106).

გამოძიებით დადასტურებულია, რომ ს. მ. **კიროვის** ვერაგული მკვლელობა, განხორციელებული ლენინგრადის ტროცკისტულ - ზინოვიევური ტერორისტული ცენტრის მიერ 1934 წლის 1 დეკემბერს, განხორციელებულ იქნა აგრეთვე მემარჯვენე - ტროცკისტული ბლოკის გადაწყვეტილებით, რომლის მონაწილენი პასუხისგებაში არიან მიცემულნი, როგორც ამ საქმეზე ბრალდებულნი.

გამოძიებით დადასტურებულია, რომ ამ ვერაგული მკვლელობის ერთერთი მონაწილე იყო ბრალდებული **იაგოდა**, რომელმაც აჩვენა შემდეგი:

„ს. მ. **კიროვის** მკვლელობა, რომ შეთქმულების ცენტრის გადაწყვეტილებით მზადდებოდა, ეს მე წინასწარ ვიცოდი **ენუქიძისაგან**. ენუქიძემ წინადადება მომცა არ შემექმნა დაბრკოლებანი ამ ტერორისტული აქტის ორგანიზაციისათვის,—და მე ამაზე დავთანხმდი. ამ მიზნით ლენინგრადიდან გამოვიწვიე **ზაპოროჟეცი**, რომელსაც მივეცი მითითებანი არ შეექმნა დაბრკოლებანი ს. მ. **კიროვის** წინააღმდეგ განზრახული ტერორისტული აქტისათვის". (ტ. 2, ფ. 209).

ესევე დაადასტურეს გამოძიებაზე **ზაპოროჟეცმა** და **ენუქიძემ**.

ს. მ. **კიროვის** მოკვლით არ იფარგლება მემარჯვენე - ტროცკისტულ მოღალატეთა და შეთქმულთა ტერორისტული მოქმედება.

როგორც დადასტურებულია ამ საქმეზე წარმოებული გამოძიებით, ა. მ. **გორკი**, ვ. რ. **მენჟინსკი** და ვ. ვ. **კუიბიშევი** გახდნენ მსხვერპლი ტერორისტული აქტებისა, რომლებიც განხორციელებულ იქნა მემარჯვენე - ტროცკისტული ბლოკის გაერთიანებული ცენტრის დავალებით.

იმ მიზეზებზე, რომლებმაც აიძულეს მემარჯვენე - ტროცკისტული შეთქმულები ჩაედინათ თავისი საშინელებით უმაგალითო მკვლელობა ა. მ. **გორკისა**, ბრალდებულმა **იაგოდამ** აჩვენა:

„მემარჯვენე - ტროცკისტული ორგანიზაციის გაერთიანებული ცენტრი დიდი ხნის განმავლობაში ცდილობდა დაემუშავებინა **გორკი** და ჩამოეშორებინა იგი **სტალინთან** სიახლოვისაგან. ამ მიზნით, **გორკის** მიუჩინეს **კამენევი, ტომსკი** და მთელი რიგი სხვა პირები. მაგრამ ამას რეალური შედეგები არ მოჰყვა. **გორკი** წინანდებურად ერთგულია **სტალინისა** და მხურვალე მომხრე და დამცველია მისი ხაზისა. მემარჯვენეთა და ტროცკისტთა მიერ სტალინური ხელმძღვანელობის დამხობის და ძალაუფლების დაპყრობის საკითხის სერიოზულად დაყენებისას, ცენტრს არ შეეძლო მხედველობაში არ მიეღო **გორკის** განსაკუთრებული გავლენა ჩვენს ქვეყანაში, მისი ავტორიტეტი საზღვარგარეთ. თუ **გორკი** ცოცხალი იქნება, იგი თავის საპროტესტო ხმას აიმაღლებს ჩვენს წინააღმდეგ, ჩვენ არ შეგვიძლია ეს დავუშვათ, ამიტომ, გაერთიანებული ცენტრი, დარწმუნდა რა იმაში, რომ **გორკის** ჩამოშორება **სტალინისაგან** შეუძლებელია, იძულებული იყო გამოეტანა გადაწყვეტილება **გორკის** ლიკვიდაციის შესახებ". (ტ. 2, ფ. 200).

ბრალდებულ **იაგოდას** ჩვენებებს სავსებით ადასტურებს ბრალდებული **რიკოვიც**, რომელმაც ა. წ. 10 იანვარს საბჭოთა კავშირის პროკურორის მიერ დაკითხვისას აჩვენა:

„მე ვიცი, რომ **ტროცკი** საკონტაქტო ცენტრში თავისი წარმომადგენლების საშუალებით ყოველნაირად აღვივებდა გაბოროტებულ განწყობილებებს **გორკის** მიმართ. ეს, ბუნებრივია, იმით აიხსნება, რომ **ტროცკისათვის** კარგად იყო ცნობილი, რომ **გორკის** იგი ვიგინდარად და ავანტურისტად მიაჩნია. მეორე მხრით, საყოველთაოდ ცნობილია **გორკის** სიახლოვე **სტალინთან**, და ის გარემოება, რომ იგი შეუდრეკელი პოლიტიკური მომხრეა **სტალინისა**, იწვევდა ჩვენი ორგანიზაციის გაბოროტებულ დამოკიდებულებას მისდამი". (ტ. 1, ფ. 166).

ამას ბრალდებულმა **რიკოვმა** დაუმატა:

„1935 წელს მე ვესაუბრე **ენუქიძეს**, რომელმაც პირდაპირ განმიცხადა, რომ ბლოკის ტროცკისტულ - ზინოვიევური ნაწილი დაჟინებით მოითხოვს **გორკის** პოლიტიკური აქტივობის ლიკვიდაციას და ამის განსახორციელებლად არავითარ საშუალებას არ მოერიდება. ამ საუბრიდან ჩემთვის ნათელი შეიქნა, რომ შეიძლება სიტყვა ჩამოვარდეს **გორკის** ლიკვიდაციის ტერორისტულ მეთოდებზედაც". (ტ. 1, ფ. 166-167).

იგივე დაადასტურა ბრალდებულმა **ბუხარინმა**, რომელმაც აჩვენა, რომ 1935 წლის დამდეგს **ტომსკიმ** აცნობა მას, რომ:

„...ბლოკის გაერთიანებული ცენტრის ტროცკისტულმა ნაწილმა შემოიტანა წინადადება ა. მ. **გორკის** როგორც **სტალინის** პოლიტიკის მომხრის წინააღმდეგ მტრული აქტის ორგანიზების შესახებ". (ტ. 5, ფ. 119).

ამასთანავე ბრალდებულმა **ბუხარინმა** განმარტა, რომ ის არ გამორიცხავს, რომ მაშინ ლაპარაკი იყო სწორედ **გორკის** ფიზიკურად მოსპობის შესახებ, ის, რომ ლაპარაკი იყო სწორედ მაქსიმ **გორკის** ფიზიკურ მოსპობის მომზადებაზე, სჩანს ბრალდებულ **ბესონოვის** ჩვენებიდან, რომელმაც პირადად მიიღო ასეთი ხასიათის „დირექტივა" უშუალოდ ლ. **ტროცკისაგან** 1934 წელს ივლისის დამლევს უკანასკნელთან შეხვედრის დროს.

ამ შეხვედრის დროს, როგორც ბრალდებულმა **ბესონოვმა** აჩვენა, **ტროცკიმ** განაცხადა, რომ

„... შეუწყნარებელი მანკიობა იქნებოდა, რომ თანმიმდევრობით მაშინვე არ გადავსულიყავით **სტალინისა** და ყველა მისი უახლოესი თანამებრძოლის ფიზიკურად თავიდან მოცილებაზე".

„ მ. **გორკი** ძლიერ ახლოს სდგას **სტალინთან**. ის უაღრესად დიდ როლს ასრულებს მსოფლიოს და განსაკუთრებით დასავლეთ ევროპის საზოგადოებრივი დემოკრატიული აზრის სიმპატიების მოპოვებაში სსრკ-სადმი. **გორკი** ფართო პოპულარობით სარგებლობს, როგორც **სტალინის** უახლოესი მეგობარი და პარტიის გენერალური ხაზის გამტარებელი. გუშინდელი ჩვენი მომხრეები ინტელიგენციიდან მნიშვნელოვან წილად **გორკის** ზეგავლენით გვშორდებიან. ამ პირობებში გამომაქვს დასკვნა, რომ გორკი თავიდან უნდა მოვიცილოთ. გადაეცით ეს ჩემი დავალება **პიატაკოვს** სრულიად კატეგორიული ფორმით: „გორკი მოსპობილ იქნას ფიზიკურად რადაც უნდა დაგვიჯდეს". (ტ. 11, ფ. 74—75).

მემარჯვენე - ტროცკისტულმა ბლოკმა ხალხის მტრის ლ. **ტროცკის** სწორედ ამ დირექტივის საფუძველზე მიიღო საზარელი გადაწყვეტილება ა. მ. **გორკის** მკვლელობაზე.

„ამ გადაწყვეტილების შესრულება მომენდო მე", — აჩვენა ბრალდებულმა **იაგოდამ**.

ამ ბოროტმოქმედური განზრახვის უშუალო შემსრულებლად ბრალდებულმა **იაგოდამ** მოიწვია ამ საქმეზე ბრალდებულები — ექიმი ლ. გ. **ლევინი**, ყოფილი შინაექიმი ა. მ. **გორკისა**, პროფ. დ. დ. **პლეტნევი**, ა. მ. **გორკის** მდივანი პ. პ. **კრიუჩკოვი** და თავისი მდივანი პ. პ. **ბულანოვი**.

ამ ბოროტმოქმედების ერთმა ორგანიზატორთაგანმა ბრალდებულმა **ბულანოვმა** აჩვენა:

„ა. მ. **გორკის** მოკვლაში უშუალო მონაწილეობა მიიღეს პროფესორმა **პლეტნევმა**, ექიმმა **ლევინმა** და **გორკის** მდივანმა **კრიუჩკოვმა**. მე პირადად, მაგალითად იმის მოწმე ვიყავი, რომ **იაგოდას** არა ერთხელ გამოუწვევია **კრიუჩკოვი** და რჩევა მიუცია უკანასკნელისათვის გაეცივებინა **გორკი**, ამათუ იმ გზით გამოეწვია მისი ავადმყოფობა, **იაგოდა** ხაზს უსვამდა, რომ **გორკის** ფილტვების მდგომარეობა ისეთია, რომ ყოველგვარი გაცივებითი დაავადება დააჩქარებს მისი დაღუპვის შანსებს. დანარჩენს კი დაასრულებენ **პლეტნევი** და **ლევინი**, რომელთაც ამისათვის სათანადო დავალებები აქვთ". (ტ. 16, ფ. 72).

ბრალდებულმა **პლეტნევმა**, რომელიც უშუალო მონაწილეობას იღებდა ა. მ. **გორკის** და ვ. ვ. **კუიბიშევის** მკვლელობაში, აჩვენა.

„**იაგოდამ** განმიცხადა, რომ მე უნდა დავეხმარო მას ქვეყნის ზოგიერთი პოლიტიკური ხელმძღვანელის ფიზიკურად მოსპობაში. მან პირდაპირ წინადადება მომცა მესარგებლნა ვ. ვ. **კუიბიშევთან** და ა. მ. **გორკისთან** მკურნავ ექიმის მდგომარეობით და დამეჩქარებინა მათი სიკვდილი მკურნალობის არასწორი მეთოდების გამოყენების გზით. მე შევეცადე უარი მეთქვა, მაგრამ ბოლოსდაბოლოს იძულებული ვიყავი დავთანხმებულიყავ. ამის შემდეგ **იაგოდამ** მაცნობა, რომ ჩემი თანამზრახველი იქნება ექიმი **ლევინი**, ა. მ. **გორკის** მიმართ კი, ამას გარდა, ა. მ. **გორკის** მდივანი პ. პ. **კრიუჩკოვი**.

მივიღე რა **იაგოდას** ეს საშინელი დავალება, მე ექიმ **ლევინთან** ერთად შევიმუშავე ა. მ. **გორკისა** და ვ. ვ. **კუიბიშევის** მკვლელობის გეგმა.

უნდა აღვიარო, რომ ჩემს მიერ ამ ბოროტმოქმედებაზე დათანხმებაში თავისი როლი შეასრულეს ჩემმა ანტისაბჭოთა განწყობილებებმა.

ამ ჩემს ანტისაბჭოთა განწყობილებებს დაპატიმრებამდე ყოველნაირად ვმალავდი, ვორგულობდი და ვაცხადებდი, საბჭოთა ადამიანი ვარ-მეთქი". (ტ. 18. ფ. 72—73).

იგივე დაადასტურა ბრალდებულმა **ლევინმაც**, რომელმაც უჩვენა:

„მე თავს დამნაშავედ ვცნობ იმაში, რომ მივმართე რა განზრახ არასწორ მკურნალობას და გამოვიყენე რა მოცემული დაავადებისათვის შეუფერებელი წამლები, მე ჩემს თანამზრახველებთან ერთად, **იაგოდასთან** შეთანხმებით, დამნაშავე ვიყავი მაქსიმ **გორკისა და კუიბიშევის** ნაადრევ დაღუპვაში". (ტ. 17, ფ. 10).

ბრალდებულმა **ლევინმა** და **პლეტნევმა** გამოძიების დროს მისცეს დაწვრილებითი ჩვენება იმის შესახებ, თუ პრაქტიკულად როგორ განახორციელეს მათ ამხ. **გორკისა** და **კუიბიშევის** მკვლელობა.

როგორც გამოძიებით დადასტურდა, ვ. ვ. **კუიბიშევის** მკვლელობის მოწყობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა აგრეთვე ვ. ვ. **კუიბიშევის** მდივანი ბრალდებული **მაქსიმოვი**, რომელმაც შემდეგი უჩვენა:

„მე ამ ბოროტმოქმედებაზე დავთანხმდი როგორც წევრი მემარჯვენეთა კონტრრევოლუციური ორგანიზაციისა, რომელსაც ჯერ კიდევ 1928 წელს მივემხრე.

იაგოდამ იცოდა აგრეთვე, რომ მე ვეკუთვნოდი კონტრრევოლუციურ ორგანიზაციას და დაესწრო ერთერთ ჩემს ლაპარაკს **ენუქიძესთან**, როდესაც ჩვენ ვამუშავებდით **კუიბიშევის** თავიდან მოშორების გეგმას". (ტ. 20, ფ. 45).

იაგოდას პირდაპირი მითითებით ბრალდებულების ექიმ **ლევინისა** და ექიმ **კაზაკოვის** მიერ მოკლულ იქნა აგრეთვე გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს თავმჯდომარე ვ. რ. **მენჟინსკი**.

ბრალდებულმა **კაზაკოვმა** საბჭოთა კავშირის პროკურორის მიერ დაკითხვისას ა. წ. 4 თებერვალს აჩვენა:

„**იაგოდამ** განმიცხადა, რომ **მენჟინსკი** კარგად მეპყრობა და მენდობა და ამიტომ მე და ექიმი **ლევინი** ალბათ მოვახერხებთ **მენჟინსკის** მოსპობას. **იაგოდამ** მომცა შემდეგი მითითება: მე ექიმ **ლევინთან** ერთად უნდა შევიმუშავო ვ. რ. **მენჟინსკის** მკურნალობის ისეთი მეთოდი, რომელიც უზრუნველჰყოფს მისი სიკვდილის დაჩქარებას და რაც შეიძლება მალე შესწყვეტს მის სიცოცხლეს..." (ტ. 19, ფ. 51).

გადმოსცა რა შემდეგ იმ საუბრის შინაარსი, რომელიც ბრალდებულ **იაგოდას** ჰქონდა მასთან ვ. რ. **მენჟინსკის** სიკვდილის დაჩქარების აუცილებლობის შესახებ, ბრალდებულმა **კაზაკოვმა** აჩვენა:

„**იაგოდასთან** ამ საუბრის შემდეგ, მე **ლევინთან** ერთად შევიმუშავე ვ. რ. **მენჟინსკის** მკურნალობის ისეთი მეთოდი, რომელიც ფაქტიურად ანადგურებდა მის უკანასკნელ ძალღონეს და იწვევდა უსწრაფეს სიკვდილს. ამრიგად, ფაქტიურად მე და **ლევინმა** მოვკალით ვ. რ. **მენჟინსკი**.

მე ექიმ **ლევინს** მივეცი ჩემ მიერ შედგენილი ნარევი ლიზატებისა, რომლებმაც ალკოლოიდებთან შეერთებით მოგვცა ჩვენთვის საჭირო შედეგი, ვ. რ. **მენჟინსკის** ფაქტიური მკვლელობა". (ტ. 19, ფ. 51).

ეს სავსებით დაადასტურეს ბრალდებულებმაც ლ. გ. **ლევინმა** და პ. პ. **ბულანოვმა**.

ბრალდებულმა ლ. გ. **ლევინმა** დაადასტურა, რომ, მიიღო რა ბრალდებულ **იაგოდასაგან** დავალება დაეჩქარებინა ვ. რ. **მენჟინსკის** სიკვდილი, მან, **ლევინმა**, გადასწყვიტა ჩაება ამ ბოროტმოქმედების განხორციელებაში ექიმი **კაზაკოვი**.

ბრალდებულმა **ლევინმა** აჩვენა:

„მე ვთქვი, რომ ყველაზე უკეთ ამისი გაკეთება შეუძლია **კაზაკოვს**, რადგან იგი მოქმედობს პრეპარატებით, რომლებსაც თვითონ ამზადებს უკონტროლოდ თავის ლაბორატორიაში, თუ რას შეუშხაპუნებს იგი — ეს მხოლოდ მან იცის.

კაზაკოვთან წინასწარი მოსამზადებელი საუბრების შემდეგ მე მას გადავეცი ჩემ მიერ **იაგოდასაგან** მიღებული დირექტივა. იგი ჯერ ძალიან ყოყმანობდა, ვინაიდან დანაშაულის გახსნისა ეშინოდა, მაგრამ შემდეგ დასთანხმდა. მე არ შევკითხებივარ, თუ რას ხმარობდა იგი, მით უფრო, რომ იგი ჩვეულებრივად საიდუმლოდ ინახავდა თავის პრეპარატებს, მაგრამ მე ვიცოდი, რომ ამ მხრივ მას ფართო შესაძლებლობანი ჰქონდა.

ვ. რ. **მენჟინსკი** უეცრად მოკვდა გულის დამბლით ძილის დროს, თუ არ ვცდები **მაქსიმე პეშკოვის** (ა. მ. **გორკის** შვილის) გარდაცვალების წინ. ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ეს **კაზაკოვის** მიერ იყო მოწყობილი". (ტ. 17, ფ. 54—55).

ბრალდებულმა **ბულანოვმა** ვ. რ. **მენჟინსკის** მოკვლის შესახებ აჩვენა:

„**მენჟინსკის** ფიზიკური მოსპობა **იაგოდას** დიდი ხანია განზრახული ჰქონდა. მას ჩემი თანდასწრებით არაერთხელ გამოუთქვამს უკმაყოფილება იმით, რომ **მენჟინსკი** კვლავ ცოცხალია და რომ მას ისევ უკავია გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ხელმძღვანელის პოსტი. შემდეგ მან პირდაპირ სთქვა, **მენჟინსკი** თავიდან უნდა მოვიშოროთო. ამის მოწყობა ექიმ **ლევინის** საშუალებით ძნელი იყო, იმიტომ, რომ **მენჟინსკის ლევინი** არ უყვარდა და მასთან მკურნალობა არ სურდა. მაშინ მე წინადადება მივეცი **იაგოდას** „მოეწყო" **მენჟინსკისთან** რომელიმე სხვა ექიმი".

ასეც გაკეთდა. ექიმ **ლევინის** ხელისშეწყობით **მენჟინსკისთან** „მოაწყეს" ექიმი **კაზაკოვი**, რომელმაც საქმე ბოლომდე მიიყვანა, ე. ი. უბრალოდ რომ ვთქვათ, — დააჩქარა **მენჟინსკის** სიკვდილი მისი განზრახ არასწორი მკურნალობის გზით". (ტ. 16. ფ. 75).

ა. მ. **გორკის** და ვ. ვ. **კუიბიშევის** მოკვლის გარდა, ბრალდებულებმა **ლევინმა** და **კრიუჩკოვმა**, ბრალდებულის იაგოდას პირდაპირი დავალებით 1935 წელს ანალოგიური გზით მოჰკლეს აგრეთვე ა. მ. **გორკის** შვილიც—მ. ა. **პეშკოვი**.

ამის გამო ბრალდებულმა **ლევინმა** აჩვენა:

„აღვიარებ რა თავს დამნაშავედ მაქსიმეს მოკვლაში, მე მინდა აქ აღვნიშნო, რომ ეს გავაკეთე იაგოდას პირდაპირი მოთხოვნით. მე არ მეყო მოქალაქობრივი ვაჟკაცობა უარი მეთქვა და მკვლელი გავხდი". (ტ. 17, ფ. 138 მე-2 გვ.).

ბრალდებულმა **კრიუჩკოვმა**, რომელიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა **იაგოდას** მიერ მოწყობილ ბოროტმოქმედებებში, აჩვენა:

„ამ ბოროტმოქმედებებში მე ვხელმძღვანელობდი მემარჯვენეთა ანტისაბჭოთა ორგანიზაციის ზოგიერთი მონაწილის დირექტივებით. კერძოდ, იაგოდას დირექტივებით. სწორედ იაგოდასაგან მივიღე მითითება მაქსიმე პეშკოვის ძალმომრეობითი თავიდან მოცილების და შემდეგ ალექსი მაქსიმეს-ძე გორკის მოცილების შესახებ".

„ჩემს გარდა იაგოდამ ამ ბოროტმოქმედებებში მონაწილეობა მიაღებინა ექიმებს **ლევინს** და **ვინოგრადოვს** და პროფესორ **პლეტნევს**". (ტ. 21, ფ. 16).

ბრალდებულმა **იაგოდამ** დაადასტურა, რომ მ. ა. **პეშკოვი** მოკლულ იქნა მისი დავალებით და აჩვენა:

„1934 წლის მაისში **კრიუჩკოვის** ხელისშეწყობით მაქსი (**მ. ა. პეშკოვი**) ავად გახდა ფილტვების კრუპოზული ანთებით, ექიმებმა **ლევინმა, ვინოგრადოვმა** და **პლეტნევმა** კი სიკვდილამდე მიიყვანეს იგი". (ტ. 2, ფ. 193).

ბრალდებულმა **იაგოდამ** სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის თანამდებობიდან მოხსნის შემდეგ მიიღო ზომები სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის ამხ. **ნ. ი. ეჟოვის** მკვლელობის განხორციელებისათვის. ბრალდებული **იაგოდა** ასე ხსნის თავის ჩვენებებში იმ მიზეზებს, რომლებმაც აიძულეს ის დაეჩქარებინა ტერორისტული აქტი ნ. ი. **ეჟოვის** წინააღმდეგ:

„შინსახკომში მუშაობიდან ჩემი გადაყენება, ჩემ ადგილზე **ეჟოვის** მოსვლა ჩვენი შეთქმულების სრულ ჩაშლას ნიშნავდა იმიტომ, რომ ანტისაბჭოთა ორგანიზაციის კადრების განადგურების შეჩერება აღარ შეიძლებოდა. **ეჟოვი** გამოჰქექავდა ყველაფერს, საჭირო იყო **ეჟოვისაგან** განთავისუფლება. ეს იყო ერთადერთი გადაწყვეტილება, რომელიც მე გამოვიტანე და რომლის მომზადებას გადაწყვეტით შევუდექი". (ტ. 2. ფ. 141—142).

იაგოდა ცდილობდა ეს თავისი განზრახვა განეხორციელებინა თავის თანამოაზრეთა საშუალებით, რომელთა შორის ყველაზე უფრო თვალსაჩინო როლი ეკუთვნოდა ბრალდებულ **ბულანოვს**.

ბრალდებულ **იაგოდას** და ბრალდებულ **ბულანოვის** აღიარებით, ამხ. ნ. ი. **ეჟოვის** მკვლელობა განზრახული იყო განხორციელებულიყო საამისოდ სპეციალურად მომზადებული შხამით მოწამვლის გზით.

„როდესაც **იაგოდა** შინსახკომიდან მოხსნეს,—აჩვენა ბრალდებულმა **ბულანოვმა**,—მან მე და თავის პირად დავალებათა შემსრულებელს **სავოლაინენს** მოგვცა პირდაპირი დავალება — მოგვეწამლა **ეჟოვი**". (ტ. 16, ფ. 27).

დაწვრილებით აღწერა რა ის საშუალებანი, რომელთა დახმარებითაც ბრალდებული **იაგოდა** ცდილობდა განეხორციელებინა ამხ. ნ. ი. **ეჟოვის** მკვლელობა, ბრალდებულმა **ბულანოვმა** აჩვენა, რომ ის, **ბულანოვი**, თვითონ ამზადებდა შხამების ნარევს, რომლებიც დანიშნული იყო ამხ. **ეჟოვის** მოსაწამლავად.

ბრალდებულმა **იაგოდამ** სსრ კავშირის პროკურატურაში დაკითხვის დროს სავსებით აღიარა ეს თავისი დანაშაული და აჩვენა:

„დიახ, იძულებული ვარ აღვიარო, რომ მე ვამზადებდი ამ დანაშაულის ჩადენას. ვაწყობდი **ეჟოვის** მკვლელობის მომზადებას, როგორც ისეთი ადამიანისას, რომელიც საშიში იყო კონტრრევოლუციური შეთქმულებისათვის და რომელსაც შეეძლო ჩვენი კონტრრევოლუციური ორგანიზაციის გამომჟღავნება". (ტ. 2, ფ. 209).

ამგვარად, გამოძიებას უდაოდ დადასტურებულად მიაჩნია, რომ ამ საქმის გამო სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულმა „მემარჯვენე - ტროცკისტული ბლოკის" ხელმძღვანელმა მონაწილეებმა ჩაიდინეს ტერორისტული აქტები ს. მ. **კიროვის**, ვ. რ. **მენჟინსკის**, ვ. ვ. **კუიბიშევის**, ა. მ. **გორკის**, მ. ა. **პეშკოვის** წინააღმდეგ და ამზადებდნენ მთელ რიგ სხვა ტერორისტულ აქტებს, რომელთა განხორციელება ვერ მოასწრეს.

საბჭოთა მოღვაწეების მკვლელობით დამთავრდა იმ უმძიმეს სახელმწიფო დანაშაულთა რკალი, რომელთა დახმარებითაც ჩვენი სამშობლოს საზიზღარ ნაძირალთა, მეფის ოხრანკის პროვოკატორთა, უცხოეთის დაზვერვის მიერ დაქირავებულთა ბანდა, რომლებიც უცხოელ კაპიტალისტებზე ჰყიდდნენ ჩვენს მიწა-წყალსა და ჩვენს თავისუფლებას, ცდილობდა განეხორციელებინა

(დასასრული იხ. მე-4 გვ.)

საბრალდებო დასკვნა

ნ. ი. ბუხარინის, ა. ი. რიკოვის, გ. გ. იაგოდას, ნ. ნ. კრესტინსკის, ქ. გ. რაკოვსკის, ა. პ. როზენგოლცის, ვ. ი. ივანოვის, მ. ა. ჩერნოვის, გ. ფ. გრინკოს, ი. ა. ზელენსკის, ს. ა. ბესონოვის, ა. იკრამოვის, ფ. ხოჯაევის, ვ. ფ. შარანგოვიჩის, პ. ტ. ზუბარევის, პ. პ. ბულანოვის, ლ. გ. ლევინის, დ. დ. პლეტნევის, ი. ნ. კაზაკოვის, ვ. ა. მაქსიმოვ-დიკოვსკისა და პ. პ. კრიუჩკოვის

საქმეზე, რომელთაც ბრალი ედებათ მასში, რომ იმათ საბჭოთა კავშირისადმი მტრულად განწყობილი უცხო სახელმწიფოების დაზვერვების დავალებით შეადგინეს შეთქმულთა ჯგუფი სახელწოდებით „მემარჯვენე - ტროცკისტული ბლოკი", რომელმაც მიზნად დაისახა ჯაშუშობა უცხო სახელმწიფოების სასარგებლოდ, მავნებლობა, დივერსიები, ტერორი, სსრკ სამხედრო ძლიერებისათვის ძირგამოთხრა, ამ სახელმწიფოების სამხედრო თავდასხმის პროვოკაცია სსრ კავშირზე, სსრ კავშირის დანაწილება, მისგან უკრაინის, ბელორუსიის, შუააზიის რესპუბლიკების, საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, შორეულ აღმოსავლეთში პრიმორიეს ჩამოცილება ხსენებული უცხო სახელმწიფოების სასარგებლოდ, დასასრულ, სსრ კავშირში არსებული სოციალისტური, საზოგადოებრივი და სახელმწიფო წესწყობილების დამხობა და კაპიტალიზმის აღდგენა, ბურჟუაზიის ხელისუფლების აღდგენა.

საბჭოთა წყობილების დამხობის და ჩვენს ქვეყანაში კაპიტალიზმის აღდგენის ფაშისტური გეგმა.

* * *

როგორც ახლა გამოირკვა, ეს საშინელი ბოროტმოქმედებანი შემთხვევითი არ ყოფილა არც ტროცკისტებისათვის, არც მემარჯვენეებისათვის.

გამოძიებით დადასტურდა, რომ უკვე 1918 წელს, უშუალოდ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, ბრესტის ზავის დადების პერიოდში, **ბუხარინმა** და ეგრეთწოდებულ „მემარცხენე" კომუნისტთა მისმა ჯგუფმა და **ტროცკიმ** თავისი ჯგუფით, „მემარცხენე" ესერებთან ერთად, მოაწყეს შეთქმულება **ვ. ი. ლენინის,** როგორც საბჭოთა მთავრობის მეთაურის, წინააღმდეგ.

ბუხარინი და სხვა შეთქმულნი, როგორც ეს გამოძიების მასალებიდან სჩანს, თავის მიზნად ისახავდნენ ჩაეშალათ ბრესტის ზავი, დაემხოთ საბჭოთა მთავრობა, დაეპატიმრებინათ და მოეკლათ **ვ. ი. ლენინი, ი. ბ. სტალინი** და **ი. მ. სვერდლოვი** და შეედგინათ ახალი მთავრობა ბუხარინელებისაგან, რომლებიც მაშინ შენიღბვისათვის თავიანთ თავს „მემარცხენე" კომუნისტებს უწოდებდნენ, ტროცკისტებისა და „მემარცხენე" ესერებისაგან.

ა. წ. 19 და 20 თებერვალს, საბჭოთა კავშირის პროკურატურაში დაკითხულმა „მემარცხენე" ესერთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილმა წევრმა **ვ. ა. კარელინმა** შემდეგი ჩვენება მისცა ესერებისა და ბუხარინელების 1918 წელს შეთქმულობითი საქმიანობის შესახებ.

„მემარცხენე" კომუნისტებთან საბოლოო შეთანხმებას იმაზე, რომ გვეწარმოებინა ბრძოლა საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ, რომელსაც მეთაურობდნენ **ლენინი, სტალინი** და **სვერდლოვი,** ჩვენ კომუნისტური პარტიის VII ყრილობის შემდეგ მივაღწიეთ.

„მემარცხენე" ესერთა ცენტრალური კომიტეტის დავალებით „მემარცხენე" კომუნისტებთან მოლაპარაკებას აწარმოებდნენ **კამკოვი, პროშიანი** და მე". (ტ. 44, ფ. 86).

ამბობდა რა ამ მოლაპარაკების ხასიათსა და ბრალდებულ **ნ. ი. ბუხარინის** როლზე **ვ. ა. კარელინმა** შემდეგ აჩვენა:

„**ბუხარინის** წინადადება იყო— არ დავკმაყოფილებულიყავით მთავრობის დაპატიმრებით, არამედ ფიზიკურად მოგვესპო საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელები და, პირველ რიგში, **ლენინი** და **სტალინი**". (ტ. 44, ფ. 38).

იგივე დაადასტურეს დანარჩენმა პირებმაც, რომლებიც დაკითხულ იქნენ ამ საქმეზე, როგორც მოწმეები.

„მემარცხენე" ესერთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ერთერთმა ყოფილმა ხელმძღვანელმა **ბ. დ. კამკოვმა** აჩვენა:

„მე პირადათ მქონდა ლაპარაკი **ბუხარინთან,** რომელმაც დაახლოებით შემდეგი განმიცხადა: „ბრესტის ზავის საკითხში **ლენინის** პოზიციის წინააღმდეგ ბრძოლა ჩვენს პარტიაში მწვავე ფორმებს ღებულობს. ჩვენს რიგებში იხილავენ საკითხს, რათა შეიქმნას ახალი მთავრობა „მემარცხენე" ესერებისა და „მემარცხენე" კომუნისტებისაგან. ამასთან **ბუხარინმა** დაასახელა **პიატაკოვი,** როგორც შესაძლო კანდიდატი ახალი მთავრობის ხელმძღვანელის პოსტზე და განაცხადა, რომ მთავრობის შეცვლა წარმოდგენილი აქვთ იმგვარად, რომ დააპატიმრონ მისი შემადგენლობა მის მეთაურ **ლენინითურთ.**

შემდგომ მოლაპარაკებას **ბუხარინთან** აწარმოებდნენ **კარელინი** და **პროშიანი.** მარტის დამლევისათვის „მემარცხენე" კომუნისტებსა და „მემარცხენე" ესერებს შორის მიღწეულ იქნა საბოლოო შეთანხმება იმაზე, რომ: 1) „მემარცხენე" კომუნისტები ბოლშევიკებთან და საბჭოთა მთავრობასთან ბრძოლაში ორგანიზაციულ და პოლიტიკურ დახმარებას უწევენ „მემარცხენე" ესერებს; 2) „მემარცხენე" ესერებისა და „მემარცხენე" კომუნისტების შეერთებული მოქმედებით უნდა დაემხოს **ლენინის** მთავრობა და შესდგეს ახალი მთავრობა „მემარცხენე" კომუნისტებისა და „მემარცხენე" ესერების შემადგენლობით.

ამის შემდეგ „მემარცხენე" ესერებმა მოაწყეს **მირბახის** მკვლელობა და ივლისის ამბოხება. „მემარცხენე" კომუნისტები სავსებით იყვნენ იმის კურსში, რომ მზადდებოდა **მირბახის** მკვლელობა და ივლისის ამბოხება". (ტ. 44, ფ. 92 მე-2 გვ.).

„მემარცხენე" კომუნისტთა ჯგუფის ყოფილმა ხელმძღვანელებმა და აქტიურმა მონაწილეებმა **ვ. ნ. იაკოვლევამ, ვ. ვ. ოსინსკიმ** და **ვ. ნ. მანცევმა,** რომლებიც დაკითხულ იქნენ, როგორც მოწმენი ა. წ. 19 თებერვალს სსრ კავშირის პროკურატურაში, სავსებით დაადასტურეს, რომ 1918 წელს არსებობდა შეთქმულება, რომელიც ბრალდებულ **ბუხარინის** ინიციატივით მოაწყო „მემარცხენე" კომუნისტთა და „მემარცხენე" ესერთა ბლოკმა **ვ. ი. ლენინის,** როგორც საბჭოთა მთავრობის მეთაურის, წინააღმდეგ.

მაგალითად **ვ. ნ. იაკოვლევამ** აჩვენა:

„**ბუხარინმა** ჩემთან განავითარა ის აზრი, რომ პოლიტიკური ბრძოლა სულ უფრო-და-უფრო მწვავე ფორმებს ღებულობს და საქმე არ შეიძლება განისაზღვროს მარტო პოლიტიკური ფორმულირებით პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი უნდობლობის შესახებ. **ბუხარინმა** განაცხადა, რომ საქმე აუცილებლად უნდა მივიდეს ხელმძღვანელობის შეცვლამდე, რის გამო დგას **ლენინის, სტალინისა** და **სვერდლოვის** დაპატიმრების საკითხი და მათი ფიზიკურად მოსპობის საკითხიც კი..." (ტ. 44, ფ. 77).

ვ. ვ. ოსინსკიმ ამის გამო აჩვენა: „ძირითადი საუბარი **ლენინის** მთავრობის დასამხობად ჩვენი ზომების შესახებ **ნ. ი. ბუხარინთან** მქონდა... დაახლოებით 1918 წლის მაისში (ან აპრილის ბოლოში), საუბარი მქონდა **ბუხარინთან,** რომელსაც შევეკითხე, რამდენად მართალია ჩემი ცნობები რომ მას განზრახული აქვს **ლენინის** მთავრობის დაპატიმრება.

ბუხარინმა არ უარჰყო ეს თავისი განზრახვა". (ტ. 44, ფ. 54).

ლაპარაკობდა რა შემდეგ ამ „ზომებზე", **ვ. ვ. ოსინსკიმ** აჩვენა:

„მემარცხენე" ესერებთან „მემარცხენე" კომუნისტების ბლოკის შესახებ მე შევიტყვე იაკოვლევასგან და შემდეგ **ბუხარინისაგან.** მე ვიცოდი აგრეთვე მათგან, რომ 1918 წლის მარტში ან აპრილში **ბუხარინი** გამოვიდა ბიუროზე (მოსკოვის ოლქი) **ლენინის, სტალინის** და **სვერდლოვის** დაპატიმრების წინადადებით. ამასთან **ბუხარინმა** ხაზი გაუსვა, რომ ის იმ აზრისაა, რომ მთავრობის დაპატიმრების შემდეგ საჭირო იქნება **ლენინის, სტალინის** და **სვერდლოვის** ფიზიკური მოსპობა". (ტ. 44, ფ. 88 მე-2 გვ.).

ანალოგიური ჩვენება მისცა **ვ. ნ. მანცევმაც,** რომელიც დაკითხულ იქნა კავშირის პროკურატურაში ამა წლის 20 თებერვალს, სახელდობრ:

„მე ვადასტურებ, რომ „მემარცხენე" კომუნისტებსა და „მემარცხენე" ესერებს შორის შეკრული იყო ბლოკი.

მე ვადასტურებ, რომ, დაახლოებით მარტში — აპრილში ბიუროს ვიწრო სხდომაზე **ბუხარინმა** გააკეთა მოხსენება, რომელშიც მთელი რიგი ცილისწამება დაუშვა საბჭოთა მთავრობის მისამართით და წინადადებას იძლეოდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობის მოწყობისა და **ლენინის, სტალინის** და **სვერდლოვის** დაპატიმრების შესახებ იმ მიზნით, რომ ფიზიკურად მოესპოთ ისინი". (ტ. 44, ფ. 82).

ვ. ი. ლენინის წინააღმდეგ 1918 წლის შეთქმულებაში **ლ. ტროცკის** როლის შესახებ ბრალდებულმა **ბუხარინმა** აჩვენა:

„ამ დროისთვის ისევ წამოიჭრა გადატრიალებისა და **ლენინის, სტალინის** და **სვერდლოვის,** როგორც პარტიულ და საბჭოთა ხელმძღვანელობის განმსაზღვრელი ფიგურების დაპატიმრების იდეა, ამჯერად **ტროცკის** ინიციატივით, რომელმაც „მემარცხენე" ესერების წინადადება შეიტყო, ცხადია, როგორც მე მგონია **პიატაკოვისაგან**". (ტ. 5, ფ. 124).

წინასწარ გამოძიებაზე დაკითხულმა **ვ. ნ. იაკოვლევამ** აჩვენა:

„**ტროცკი** სთვლიდა, რომ პოლიტიკური ბრძოლა მხოლოდ დასაწყისშია, რომ ის შეიძლება მივიდეს უაღრესად აგრესიულ ფორმამდე, რომ ზავის საკითხში **ლენინის** პოზიციის წინააღმდეგ „მემარცხენე" კომუნისტები იპოვიან მხარისდამჭერას „მემარცხენე" ესერებში და სხვა პარტიებში, რომ უნდა ვემზადოთ მთავრობის შეცვლისათვის და მისი ბელადების დაპატიმრებისათვის, მათი მეთაურებითურთ **ლენინითა** და **სტალინითურთ. ტროცკი** სთვლიდა, რომ რევოლუციის ასეთ მწვავე პერიოდში ბრძოლის შემდგომ განვითარების დროს საქმე შეიძლება არ შემოიფარგლოს ბელადების მხოლოდ დაპატიმრებით, რომ დაპატიმრებიდან ლოგიკური აუცილებლობით გამომდინარეობს მათი ფიზიკური მოსპობის საკითხიც". (ტ. 44, ფ. 78).

„მემარცხენე" კომუნისტების ჯგუფის ერთერთმა ხელმძღვანელმა **ვ. ნ. მანცევმა,** რომელიც დაკითხულ იქნა წინასწარი გამოძიებისას აჩვენა:

„**იაკოვლევასთან** საუბრის რამდენიმე დღის შემდეგ მე თავისთან მიმიწვია **ტროცკიმ.** მაშინ მე მასთან დიდი საუბარი მქონდა მის ბინაზე, ამასთან **ტროცკი** მაშინ ვრცლად ავითარებდა აზრს **ლენინისა** და **სტალინის** მოკვლის აუცილებლობის შესახებ". (ტ. 44, ფ. 84).

გამოძიებას ამჟამად მოეპოვება უდავო მონაცემები იმის შესახებ, რომ ესერ ტერორისტ-ქალის **ფ. კაპლანის** მიერ 1918 წლის 30 აგვისტოს **ვ. ი. ლენინის** სიცოცხლის ხელყოფა პირდაპირი შედეგი იყო იმ დანაშაულებრივი განზრახვების განხორციელებისა, რომლებიც ჰქონდათ „მემარცხენე" კომუნისტებს **ნ. ი. ბუხარინის** მეთაურობით და მათ თანამზრახველებს — „მემარცხენე" და მემარჯვენე ესერებს, და ბრალდებულ **ბუხარინის** ინიციატივით მოხდა.

სსრ კავშირის პროკურატურაში დაკითხვისას ა. წ. 19 თებერვალს **ვ. ა. კარელინმა** აჩვენა:

„მე უნდა ვაღიარო აგრეთვე ყველაზე მძიმე დანაშაული — „მემარცხენე" ესერებისა და „მემარცხენე" კომუნისტების მონაწილეობა **ლენინზე** თავდასხმის ორგანიზაციაში. ამ ფაქტს ოცი წლის განმავლობაში უმალავდნენ საბჭოთა ხალხს. დამალული იყო, რომ ჩვენ მემარჯვენე ესერებთან ერთად **ბუხარინის** დაჟინებითი მოთხოვნით ვცდილობდით **ლენინის** მოკვლას.

მემარჯვენე ესერების პროცესს არ გამოუმჟღავნებია ამ დანაშაულობის ნამდვილი ვითარება და არ გამოუაშკარავებია „მემარცხენე" ესერებისა და „მემარცხენე" კომუნისტების როლი მასში.

ივლისის ამბოხების შემდეგ „მემარცხენე" ესერების ც. კ-მა მიიღო გადაწყვეტილება საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლის ტერორისტულ მეთოდებზე გადასვლის შესახებ.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ **პროშიანი** ამბოხების შემდეგაც ხვდებოდა **ბუხარინს,** რომელმაც მის წინაშე პირდაპირ დააყენა **ლენინის** ფიზიკურად მოსპობის საკითხი. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, **ლენინის** წინააღმდეგ ტერორისტული აქტის საკითხი **ბუხარინის** მიერ წამოყენებულ იქნა 1918 წლის ივლისის მეორე ნახევარში. ეს **პროშიანმა** მოგვახსენა ჩვენ, „მემარცხენე" ესერების ც. კ-ის წევრებს.

„მემარცხენე" კომუნისტების ამგვარმა მოთხოვნამ თავისი როლი შეასრულა იმ მხრივ, რომ დაჩქარებულ იქნა ტერორისტული აქტი **ლენინის** წინააღმდეგ, რაც მოახდინა მემარჯვენე ესერების ც. კ-მა". (ტ. 44, ფ. 86-87).

ესევე დაადასტურა ა. წ. 19 თებერვალს დაკითხვისას **ვ. ვ. ოსინსკიმაც,** რომელმაც აჩვენა შემდეგი:

„1918 წლის დამლევს **სტუკოვმა,** რომელიც **ბუხარინთან** ერთად დაკავშირებული იყო ესერებთან, მითხრა: მემარჯვენე ესერმა ქალმა **კაპლანმა** რომ **ლენინს** ესროლა, ეს მოხდა არა მარტო მემარჯვენე ესერების ხელმძღვანელობის მითითებით, არამედ იმ ღონისძიებათა შედეგიც იყო, რომლებიც თავის დროზე დასახა „მემარცხენე" კომუნისტების ბლოკმა ესერებთან და რომლებიც მიმართული იყო **ლენინის, სტალინის** და **სვერდლოვის** ფიზიკურად მოსპობისაკენ". (ტ. 44, ფ. 89).

სსრ კავშირის პროკურატურამ ბრალდებულ **ბუხარინს** პირში წაუყენა მოწმეები **ვ. ვ. ოსინსკი, ვ. ნ. იაკოვლევა, ვ. ნ. მანცევი, ვ. ა. კარელინი** და **ბ. დ. კამკოვი** და ამ უკანასკნელებმა სავსებით დაადასტურეს თავისი ჩვენებანი, რაც ზემოთ არის მოყვანილი.

ამ მამხილებელი საბუთების სიმძიმის ზეგავლენით ბრალდებულმა **ბუხარინმა** აღიარა მთელი რიგი დანაშაულებრივი ფაქტები და აჩვენა:

„მე უნდა ვაღიარო, რომ ჩვენ „მემარცხენე" ესერებთან გვქონდა უშუალო კონტაქტი, რომელიც ეყრდნობოდა იმ პლატფორმას, რომ ძალდატანებით დაგვემხო საბჭოთა მთავრობა მისი მეთაურებით **ლენინითა, სტალინითა** და **სვერდლოვითურთ,** ხოლო შემდეგ დაგვეპატიმრებინა **ლენინი, სტალინი** და **სვერდლოვი** და შეგვექმნა ახალი მთავრობა „მემარცხენე" კომუნისტებისა და „მემარცხენე" ესერებისაგან". (ტ. 5, ფ. 122 მე-2 გვ.).

ამჟამად დადასტურებული ცნობები იმ დანაშაულობათა შესახებ, რომლებიც 1918 წელს ჩაიდინეს ბრალდებულმა **ბუხარინმა** და ხალხის მტერმა **ტროცკიმ** საბჭოთა სახელმწიფოს და მისი ხელმძღვანელების **ვ. ი. ლენინის, ი. ბ. სტალინის** და **ი. მ. სვერდლოვის** წინააღმდეგ, სრულ სინათლეს ჰფენენ მთელ შემდგომ დანაშაულებრივ კონტრრევოლუციურ საქმიანობას **ბუხარინისა** და **ტროცკის** ბანდისას, რომელსაც ამჟამად ბრალი ედება მძიმე სახელმწიფოებრივ დანაშაულობებში, რაც მან ჩაიდინა ფაშისტურ დაზვერვათა პირდაპირი დავალებებით 1921-1937 წლების პერიოდში.

(დ ა ს ა ს რ უ ლ ი)

ბრალდების ფორმულა

გამოძიება დადასტურებულად სთვლის, რომ:

1. 1932-33 წლებში სსრ კავშირისადმი მტრულად განწყობილ უცხო სახელმწიფოთა დაზვერვების დავალებით ამ საქმის გამო ბრალდებულებმა შეადგინეს შეთქმულთა ჯგუფი „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის" სახელწოდებით, რომელმაც მიზნად დაისახა შპიონაჟი უცხო სახელმწიფოთა სასარგებლოდ, მავნებლობა, დივერსიები, ტერორი, სსრ კავშირის სამხედრო ძლიერებისათვის ძირის გამოთხრა, სსრ კავშირზე ამ სახელმწიფოთა სამხედრო თავდასხმის პროვოკაცია, სსრ კავშირის დამარცხება, სსრ კავშირის დანაწილება და უკრაინის, ბელორუსიის, შუააზიის რესპუბლიკების, საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის და შორეულ-აღმოსავლეთში პრიმორიეს მისგან ჩამოცილება — ხსენებულ უცხო სახელმწიფოთა სასარგებლოდ, დასასრულ, სსრ კავშირში არსებული სოციალისტური საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობილების დამხობა და კაპიტალიზმისა და ბურჟუაზიის ხელისუფლების აღდგენა სსრ კავშირში.

2. „მემარჯვენე - ტროცკისტული ბლოკი" დაუკავშირდა ზოგიერთ უცხო სახელმწიფოს იმ მიზნით, რომ მიეღო მათგან შეიარაღებული დახმარება თავისი დანაშაულებრივი ზრახვების განსახორციელებლად.

3. „მემარჯვენე - ტროცკისტული ბლოკი" სისტემატურად ეწეოდა შპიონაჟს ამ სახელმწიფოთა სასარგებლოდ, აწვდიდა უცხოეთის დაზვერვებს უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო საიდუმლო ცნობებს.

4. „მემარჯვენე - ტროცკისტული ბლოკი" სისტემატურად ანხორციელებდა მავნებლურ და დივერსიულ აქტებს სოციალისტური მშენებლობის სხვადასხვა დარგებში (მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, რკინიგზის ტრანსპორტზე, ფინანსები, კომუნალური მეურნეობის დარგში და ა. შ.).

5. „მემარჯვენე - ტროცკისტულმა ბლოკმა" მოაწყო მთელი რიგი ტერორისტული აქტები საკ. კ. პ. (ბ) და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ და განახორციელა ტერორისტული აქტები **ს. მ. კიროვის, ვ. რ. მენჟინსკის, ვ. ვ. კუიბიშევის, ა. მ. გორკის** წინააღმდეგ.

ყველა ბრალდებული მხილებულია როგორც მოწმეთა ჩვენებებით, ისე საქმეში არსებული დოკუმენტალური ცნობებითა და ნივთიერი მტკიცებებით და მათ სავსებით სცნეს თავი დამნაშავეებად მათთვის წაყენებულ ბრალდებებში.

ზემოაღნიშნულისა გამო **ბრალი ედებათ:**

1) ნიკოლოზ ივანეს-ძე **ბუხარინს,** დაბადებულს 1888 წელს;

2) ალექსი ივანეს-ძე **რიკოვს,** დაბადებულს 1881 წელს;

3) გენრიხ გრიგოლის-ძე **იაგოდას,** დაბადებულს 1891 წელს;

4) ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე **კრესტინსკის,** დაბადებულს 1883 წელს;

5) ქრისტიან გიორგის-ძე **რაკოვსკის,** დაბადებულს 1873 წელს;

6) არკადი პავლეს-ძე **როზენგოლცს,** დაბადებულს 1889 წელს;

7) ვლადიმერ ივანეს-ძე **ივანოვს,** დაბადებულს 1893 წელს;

8) მიხეილ ალექსანდრეს-ძე **ჩერნოვს,** დაბადებულს 1891 წელს;

9) გრიგოლ თევდორეს-ძე **გრინკოს,** დაბადებულს 1890 წელს;

10) ისააკ აბრამის-ძე **ზელენსკის,** დაბადებულს 1890 წელს;

11) სერგეი ალექსის-ძე **ბესონოვს,** დაბადებულს 1892 წელს;

12) აკმალ **იკრამოვს,** დაბადებულს 1898 წელს;

13) ფაიზულა **ხოჯაევს,** დაბადებულს 1896 წელს;

14) ვასილ თომას-ძე **შარანგოვიჩს,** დაბადებულს 1897 წელს;

15) პროკოფი ტიმოთეს-ძე **ზუბარევს,** დაბადებულს 1886 წელს;

16) პავლე პეტრეს-ძე **ბულანოვს,** დაბადებულს 1895 წელს;

17) ლევ გრიგოლის-ძე **ლევინს,** დაბადებულს 1870 წელს;

18) დიმიტრი დიმიტრის-ძე **პლეტნევს,** დაბადებულს 1872 წელს;

19) ეგნატე ნიკოლოზის-ძე **კაზაკოვს,** დაბადებულს 1891 წელს;

20) ბენიამინ ადამის-ძე (აბრამის-ძე) **მაქსიმოვ-დიკოვსკის,** დაბადებულს 1900 წელს;

21) პეტრე პეტრეს-ძე **კრიუჩკოვს,** დაბადებულს 1889 წელს.

იმაში, რომ, იყვნენ რა ანტისაბჭოთა შეთქმულების აქტიური მონაწილენი, ჩაიდინეს უმძიმესი სახელმწიფო დანაშაულობანი, აღნიშნული ბრალდების 1—5 ფორმულაში, რომლებიც გათვალისწინებულია რუსეთის სფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58-1-ა, 58-2, 58-7, 58-8, 58-9 და 58-11 მუხლებით, ხოლო ბრალდებულებმა **ივანოვმა, ზელენსკიმ** და **ზუბარევმა,** ამას გარდა, ჩაიდინეს დანაშაულობანი, რომლებიც გათვალისწინებულია რუსეთის სფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58-13 მუხლით.

აღნიშნულისა გამო, ყველა ზემოთმოხსენებული ბრალდებული გასამართლებულ უნდა იქნან სსრ კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის მიერ.

საქმეები **ვ. ვ. ოსინსკის, ვ. ნ. იაკოვლევას, ვ. ნ. მანცევის, ვ. ა. კარელინის, ბ. დ. კამკოვის, ი. ნ. სტუკოვის, ე. ვ. არტემენკოს, ი. ვ. ზაპოროჟეცის, ი. მ. სავოლაინენის, გ. ი. სემიონოვის** და **ს. ვ. ჩლენოვის** მიმართ გამოყოფილია ცალკე წარმოებაში.

საქმე ექიმ **ა. ი. ვინოგრადოვის** მიმართ, მისი სიკვდილის გამო, წარმოებით მოისპოს.

საქმე **ა. ს. ენუქიძის** მიმართ განხილულია სსრ კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის მიერ 1937 წლის 15 დეკემბერს.

ეს საბრალდებო დასკვნა შედგენილია ქ. მოსკოვში, 1938 წლის 23 თებერვალს.

სსრ კავშირის პროკურორი

ა. ვიშინსკი

ანტისაბჭოთა „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის" პროცესი

2 მარტის დილის სხდომის დღიური

2 მარტს დღის 12 საათზე მოსკოვში, კავშირების სახლის ოქტომბრის დარბაზში სსრ კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგია სასამართლოს ღია სხდომაზე შეუდგა ბუხარინის, რიკოვის, იაგოდას, კრესტინსკის, რაკოვსკის, როზენგოლცის, ივანოვის, ჩერნოვის, გრინკოს, ზელენსკის, ბესონოვის, იკრამოვის, ხოჯაევის, შარანგოვიჩის, ზუბარევის, ბულანოვის, ლევინის, პლეტნევის, კაზაკოვის, მაქსიმოვ-დიკოვსკის, კრიუჩკოვის საქმის განხილვას, რომლებსაც ბრალდებათ სამშობლოს ღალატი, შპიონაჟი, დივერსიები, ტერორი, მავნებლობა, სსრ კავშირის სამხედრო ძლიერებისათვის ძირის გამოთხრა, საბჭოთა კავშირზე უცხო სახელმწიფოთა სამხედრო თავდასხმის პროვოკაციები და რომლებიც ამოცანად ისახავდნენ სსრ კავშირში არსებული სოციალისტური საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობილების დამხობას და ბურჟუაზიის ხელისუფლების აღდგენას, ესე იგი დანაშაულობანი, რომლებიც გათვალისწინებულია რუსეთის სფს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 58-1-ა, 58-2, 58-7, 58-8 58-9 და 58-11 მუხლებით, ხოლო ბრალდებულ ივანოვს, ზელენსკის და ზუბარევს, ამას გარდა, რუსეთის სფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58-13 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულობანი.

სასამართლოს შემადგენლობა — თავმჯდომარე—სსრ კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის თავმჯდომარე არმიის სამხედრო იურისტი ვ. ვ. ულრიხი, სასამართლოს წევრები — სამხედრო კოლეგიის თავმჯდომარის მოადგილე კორპუსის სამხედრო იურისტი ი. ო. მატულევიჩი, დივიზიის სამხედრო იურისტი ბ. ი. იევლევი და სასამართლოს სათადარიგო წევრი—ბრიგადის სამხედრო იურისტი ი. მ. ზირიანოვი.

ბრალდებას მხარს უჭერს სსრ კავშირის პროკურორი **ა. ი. ვიშინსკი.** თავმჯდომარე ამხ. ულრიხი, სასამართლოს სხდომის გახსნისას ეკითხება ბრალდებულებს — მიიღეს თუ არა მათ საბრალდებო დასკვნა. ყველა ბრალდებული დადებითად უპასუხებს. შემდეგ ამხ. ულრიხი აცხადებს, რომ ბრალდებულ ლევინის დამცველად თვით ბრალდებულის შუამდგომლობით დაშვებულია მოსკოვის დამცველთა კოლეგიის წევრი ი. დ. ბრაუდე, ბრალდებულების პლეტნევისა და კაზაკოვის დამცველად მათი შუამდგომლობით დაშვებულია მოსკოვის დამცველთა კოლეგიის წევრი ნ. ვ. კომოდოვი, ხოლო დანარჩენმა ბრალდებულებმა—ბუხარინმა, რიკოვმა, იაგოდამ, კრესტინსკიმ, რაკოვსკიმ, როზენგოლცმა, ივანოვმა, ჩერნოვმა, გრინკომ, ზელენსკიმ, ბესონოვმა, იკრამოვმა, ხოჯაევმა, შარანგოვიჩმა, ზუბარევმა, ბულანოვმა, მაქსიმ-დიკოვსკიმ, კრიუჩკოვმა — დამცველებზე უარი განაცხადეს. თავმჯდომარე ეკითხება ყველა ამ ბრალდებულს, ხომ არ შესცვალეს მათ თავისი გადაწყვეტილება და ხომ არ სურთ იყოლიონ დამცველები. ბრალდებულები ადასტურებენ, რომ ისინი უარს აცხადებენ დამცველებზე.

თავმჯდომარე ამხ. ულრიხი განუმარტავს ბრალდებულებს, რომლებმაც დამცველებზე უარი განაცხადეს, რომ მათ აქვთ თავის დასაცავი სიტყვის უფლება, დამოუკიდებლად მათი უკანასკნელი სიტყვებისა. შემდეგ ამხ. ულრიხი განმარტავს, რომ ყველა ბრალდებულს უფლება აქვს მისცენ კითხვები ერმანეთს, მისცენ განმარტებანი სასამართლოს გამოძიების ცალკეულ მომენტებზე.

მას შემდეგ, რაც სასამართლოს მდივანმა პირველი რანგის სამხედრო იურისტმა ა. ა. ბატნერმა გამოაქვეყნა საბრალდებო დასკვნა, თავმჯდომარე ამხ. ულრიხი ეკითხება ცალკე თვითეულ ბრალდებულს, სცნობს თუ არა იგი თავს დამნაშავედ მისთვის წაყენებულ ბრალდებებში. ყველა ბრალდებული, გარდა ბრალდებულ კრესტინსკისა, სავსებით სცნობს თავს დამნაშავედ წაყენებულ ბრალდებებში.

შესვენების შემდეგ სასამართლო შეუდგა ბრალდებულთა დაკითხვას. პირველს დაჰკითხეს ბრალდებულ ბესონოვს.

ბრალდებული ბესონოვის დაკითხვის დამთავრების შემდეგ სხდომა შესწყდა.

* * *

ოქტომბრის დარბაზში, სადაც ანტისაბჭოთა „მემარჯვენე ტროცკისტული ბლოკის" პროცესი მიმდინარეობს, არიან დედაქალაქის ქარხნებისა და ფაბრიკების მუშები, საბჭოთა საზოგადოებრიობის, წითელი არმიის წარმომადგენლები. ფართოდ არის წარმოდგენილი საბჭოთა და უცხოეთის პრესა. ესწრებიან დიპლომატიური კორპუსის წევრები. (საკდესი).

პ.-მგ. რედაქტორის მოადგილე
ვ. ხატიაშვილი.

რუსთაველის სახ.
ლენინის ორდენოსანი
სახელმწიფო თეატრი
1938 წ. სეზონი

4/III — წარმოდგენა 114 — ოტელო
5/III — წარმოდგენა 115 — ნაპერწკლიდან
6/III — დღის წარმოდგენა — ალკაზარ — დასაწყისი დღის 12 საათზე

სალარო ღიაა 12 საათიდან 9 საათამდე.
დასაწყ. 8 საათზე.

მარჯანიშვილის სახელობის
თეატრი

3/III წარმ. № 113 — მუდმივი ადგილები ძალაში არ არის — შური
4/III წარმ № 114 — შური

დასაწყისი 8 საათზე.
სალარო ღიაა დილ. 12-დან საღ. 9 საათ.

თბილისის ზ. პ. ფალიაშვილის
სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი
სახელმწიფო თეატრი

3/III — მუდმ. ადგ. ტალ. № 121 ერთდრ. ბილ. სერია № 1 — ქეთო და კოტე
4/III — მუდმ. ადგ. ტალ. № 122 — ჯამბაზები და საბალეტო დივერტისმენტი
5/III — მუდმ. ადგ. ტალონი № 123 ერთდრ. ბილეთის სერია № 2 — კარმენ

დასაწყისი საღ. 8 საათზე
მუდმივი ადგილების
გადასახადი მთლიანად უნდა იყოს
დაფარული მარტში

საქართველოს ავიამუშაკთა პროფ. კავშირის რესპუბლიკური კომიტეტი იუწყება ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე შევჩენკოს და ერვანდ სერგოს-ძე სუქიასოვის გარდაცვალებას.

საქართველოს მსუბ. მრეწველობის სახ. კომისარიატის
სამკერვალო ფაბრიკა № 6

სარეწაო კოოპერაციის ქ. № 22 (ყოფილი სომხის ბაზრის ქ. № 22)

აცხადებს

შემკვეთების საყურადღებოდ,

რომ ქვემოთჩამოთვლილი შეკვეთები: კოსტუმები და პალტოები როგორც კაცისა, ისე ქალისა, რომლებიც დამზადებული იყო 1 მარტისათვის, მიუხედავად დანიშნული ვადებისა, გამოსყიდულ უნდა იქნას სამი დღის განმავლობაში დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა. აღნიშნული ვადის შემდეგ შეკვეთები გადაეცემა "მკერავგასაღებას" და არავითარი პრეტენზიები არ მიიღება.

16, 35, 41, 59, 64, 75, 82, 83, 84, 85, 88, 89, 90, 144, 145 260, 1118, 1366, 1554, 1613, 1615 1616, 1651, 1656, 1703, 1726, 1748, 1749, 1770, 1843, 1860, 1913, 1930, 1948, 1979, 2002, 2003, 2016, 2017, 2025, 2027. 2035, 2038, 2039, 2042, 2053, 2071, 2076, 2090, 2115; 2123, 2130, 2131, 3004, 3009, 3014, 3015, 3016, 3017, 3019, 3023, 3027, 3033, 3036, 3040, 3054, 3055, 3058, 3060, 3065, 3066, 3069, 3070, 3072, 3073, 3078, 3079, 3087, 3093, 3096, 3111, 3112, 3153, 3381, 3710, 3779, 3785, 3787 3790. 3811, 3813, 3844, 3854, 3855, 3857. 3868, 3873, 3875, 3880, 3893, 3901, 3923, 4017, 4025, 4027, 4034, 4041, 4056, 4060, 4070, 4073, 4074, 4075, 4076, 4077, 4079, 4083, 4084, 4086, 4088, 4089, 5004, 5738, 5816 5822, 5865, 5904, 5941, 5944, 6008, 6014, 6016, 6033, 6042, 6079, 6080, 7012, 7013, 7017, 7018, 7030, 7032, 7036, 7042, 7043, 7046, 7049, 7054, 7064, 7084. 7447, 7452, 7494, 7537, 7612, 7674, 7707, 7708, 7722, 8007, 8008, 8014, 8018, 8020, 8021, 8026, 8028, 8032, 8037, 8041, 8051, 8053, 8054, 8055. 8056, 8060, 8061, 8062, 8068, 8070, 8071, 8077, 8080, 8088, 8091, 8092, 8094, 8095 8099, 8100, 8101, 8553, 8626,8686, 8719, 8724, 8725, 8729. 8744, 8757, 8764, 8776, 8787, 8789, 8798, 9026, 9028, 9029, 9030, 9033, 9036, 9038, 9042, 9043, 9045, 9046. 9077, 9047, 9049, 9058, 9060, 9064, 9460, 9492 9525, 9547, 9550, 9621, 9781, 9790, 9792, 9793, 9797, 13003, 13004, 13012, 13018, 13024, 13027, 13038, 13046, 13050, 13055 13056, 13063, 13070, 13072, 13073, 13074, 13075, 13076, 13077, 13081, 13082, 13084, 13086. 13093 13094, 13096, 13097, 13101, 13102, 13103, 13104, 13109, 13111, 13113, 13117. 13118, 13119. 13122, 13123, 13128, 13129, 13131, 13132, 13133, 13134, 13138, 13139, 13208. 13226, 13240, 13250, 13274, 13281, 13313, 13318, 13320, 13334, 13335, 13340, 13351, 13373, 13396, 13407, 13408, 13448, 13503, 13512, 13550, 13552, 13558, 13577, 13581. 13582, 13586, 13589, 13600, 14022, 14083, 14088, 14122, 14209, 14214, 14218, 14251, 14294, 14318, 14325. 14378, 14388, 15035, 15051, 15054, 15074, 15103, 15142, 15160, 15184, 15208, 15219, 15311, 15316, 15317, 15319, 15322, 15331, 15341, 16131, 16210, 16217, 16237, 16302, 16349, 16352, 16432, 16444, 16446, 16447.

შეკვეთები დამზადებული ფაბრიკის განყოფილებაში შაუმიანის მოედანი № 1—ავლაბარი.

9, 11, 16, 28, 30, 37, 82, 657, 709, 716, 725, 732, 754, 755, 762, 1010, 1024. 1030, 1040, 1065 2408, 2410, 2505, 2512, 2551, 2575.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: დანარჩენი შეკვეთები: ხალათები, შარვლები და ქალის კაბები, რომლებიც მზად იყო 1 მარტისთვის, უნდა გამოსყიდულ იქნეს ზემოაღნიშნულ ვადაში.

1520

მისამართი, რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34; ტელეფონები: სამდივნოსი: 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, სას ოფლო-სამეურნეოს — 3—73—40. მშრომელთა წერილების — 3—73—24; პ.-მგ. მორიგის—3—26—67, გამომცემლობის—3—51—81; სტამბის დირექტორის — 3—27—04. ხელ ნაწერები ავტორებს არ უბრუნდება.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გამომცემლობის ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი", თბილისი, კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული 1448